ფონდი „სოხუმი“ FUND "SUKHUMI"

# ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ოჯახისა და თემის მონაწილეობის კომპონენტის გენდერული ზეგავლენის შეფასება (GIA)

# ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ოჯახისა და თემის მონაწილეობის კომპონენტის გენდერული ზეგავლენის შეფასება (GIA)

**ქუთაისი**

**2025**

შეფასება ჩატარდა ქალთა ფონდი „სოხუმის“ ხელმძღვანელობით პროექტის *„გენდერული პოლიტიკის ხელშეწყობა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ თემებში ქალთა და ახალგაზრდობის უფლებების დაცვისა და გაძლიერების და ნდობის განმტკიცებისათვის“ ფარგლებში*

Brot für die Welt

დონორი: Brot für die Welt - პური მსოფლიოსთვის - ეკლესიათა განვითარების სამსახური (გერმანია)

**კვლევაზე მუშაობდნენ:**

ანა მამულია, ნანული რამიშვილი,

ანა შალიკიანი, მაკა აბულაძე

**ანგარიში მოამზადეს**

ემა კამკიამ **და** ხათუნა გოგუამ

პუბლიკაცია მომზადდა საერთაშორისო ორგანიზაციის Brot für die Welt (პური მსოფლიოსთვის) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

# სარჩევი


რეზიუმე ..... 5

თავი I.
გენდერული ზეგავლენის შეფასების კონტექსტი ..... 10

ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია ..... 10

1.1. მეთოდოლოგია ..... 13

1.2. სტანდარტის მნიშვნელობა ბავშვებზე ორიენტირებული გარემოს შექმნის პერსპექტივით ..... 16

ნაწილი 2. პროგრამის (ოჯახის და თემის მონაწილეობა) შერჩეული კომპონენტების აღწერა ..... 18

ნაწილი 3. პროგრამის (ოჯახის და თემის მონაწილეობა) კომპონენტის გენდერული შესაბამისობა ..... 19

თავი II.
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მიმართულების, კერძოდ, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ოჯახისა და თემის მონაწილეობის კომპონენტის გენდერული ანალიზი ..... 22

ნაწილი 4. რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი ..... 22

4.1. ფორმალური და არაფორმალური კომუნიკაციები ადრეული და სკოლამდელი განათლების პროგრამაში მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლების ჩართვისთვის ..... 22

4.2. მშობლების/ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობებში სკოლამდელი დაწესებულებების ფარგლებში და მის გარეთ ..... 34

4.3. ოჯახის მხარდაჭერა ბავშვის მრავალმხრივი განვითარების საკითხში ..... 43

4.4. ოჯახის და თემის მონაწილეობის ცნობადობა და თანამშრომლობის მთავარი ასპექტები ..... 50

ნაწილი 5. გენდერულად სპეციფიკური გამოწვევების გამოვლენა ..... 63

თავი III.
მიგნებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შეჯამება ..... 65

ნაწილი 6. მიგნებების შეჯამება ..... 65

ნაწილი 7. გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით პროგრამის გაუმჯობესების რეკომენდაციები ..... 66

# რეზიუმე


წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მიმართულების, კერძოდ, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ოჯახისა და თემის მონაწილეობის კომპონენტის გენდერული ზეგავლენის შეფასებას (GIA) და, ძირითადად, ეყრდნობა გენდერული ზეგავლენის შეფასების ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს.

გენდერული ზეგავლენის შეფასების კუთხით ჩატარებული საქმიანობა უზრუნველყო ქალთა ფონდმა „სოხუმმა“. კვლევა განხორციელდა ქუთაისის ბაღების გაერთიანებასა და სკოლამდელ დაწესებულებებთან მჭიდრო თანამშრომლობით. შეფასება ჩატარდა პროექტის *„გენდერული პოლიტიკის ხელშეწყობა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ თემებში ქალთა და ახალგაზრდობის უფლებების დაცვისა და გაძლიერების და ნდობის განმტკიცებისათვის“ ფარგლებში. დონორი: ჰური მსოფლიოსთვის - ეკლესიათა განვითარების სამსახური (გერმანია).*

სახელმწიფოსთვის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სრულფასოვანი სერვისის მიწოდებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს მთავრობამ 2017 წლის ოქტომბერში დაამტკიცა სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებული სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები. სავალდებულო სტანდარტების მომზადება იყო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის მოთხოვნა და მის შემუშავებაში ჩართული იყო გაეროს ბავშვთა ფონდი. სტანდარტის შემუშავებაში ასევე მონაწილეობდა ორგანიზაცია „ვორლდ ვიჟენი“.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მთავარი მიზანია ბავშვზე ორიენტირებული განათლება, რომელიც მას განათლების პროცესის და

გარემოს ცენტრალურ ფიგურად მოიაზრებს. ყველაფერი ემსახურება ბავშვს, მისი კეთილდღეობის დაცვას, განვითარებას და შესაძლებლობების რეალიზებას. სკოლამდელ დაწესებულებებს აქვთ ვალდებულება, იზრუნონ თითოეულ აღსაზრდელზე, ხელი შეუწყონ მათ განვითარებას, დაიცვან ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის **ხარისხის სტანდარტი** განსაზღვრავს იმ მინიმალურ კრიტერიუმებს, რომლებიც აუცილებელია ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს და პროცესის უზრუნველსაყოფად. სტანდარტები წარმოდგენილია 8 მიმართულების მიხედვით: *უსაფრთხოება და დაცულობა; კურიკულუმი და მეთოდოლოგია; ფიზიკური გარემო; ურთიერთობა; საგანმანათლებლო პროცესი; ოჯახისა და თემის მონაწილეობა; ინკლუზიური განათლება; მართვა და შეფასება.*

გენდერული ზეგავლენის შეფასების ფარგლებში ჩატარდა „ოჯახის და თემის მონაწილეობის“ კომპონენტის სრული ანალიზი. ანალიზის მიზანი იყო - გარკვევა, შეაქვს თუ არა წვლილი პროგრამას გენდერულ თანასწორობაში, თუ პირიქით - იწვევს უთანასწორობას მონაწილეობის, რესურსებზე წვდომის, უფლებების, გენდერული ნორმების და ღირებულებების კუთხით. გამოვლინდა პროგრამის წვლილი სერვისის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში და შემუშავდა რეკომენდაციები მისი გაუმჯობესების მიზნით.

გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდი შეეცადა, გამოეკვეთა პროგრამის სამიზნე ჯგუფების (პირდაპირი ბენეფიციარები - ბავშვები; არაპირდაპირი ბენეფიციარები - მშობლები, პედაგოგები, სერვისის მომწოდებლები, თემი) განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინების გზები; პროგრამის გენდერული პერსპექტივის გაზრდისა და შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობები იმ

აქტორებისთვის, ვისაც პირდაპირ და არაპირდაპირ მიემართება პროგრამა.

განხორციელდა პროგრამის საერთო ზეგავლენის შეფასება სხვადასხვა ფოკუსით: *„ფორმალური და არაფორმალური კომუნიკაციები ადრეული და სკოლამდელი განათლების პროგრამაში მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლების ჩართვისთვის“; „მშობლების/ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობებში სკოლამდელი დაწესებულებების ფარგლებში და მის გარეთ“; „ოჯახის მხარდაჭერა ბავშვის მრავალმხრივი განვითარების საკითხში“; „თემთან თანამშრომლობის ასპექტები ადრეული და სკოლამდელი განათლების სტანდარტის მიხედვით“.*

სტანდარტის მიმართულების - „ოჯახისა და თემის მონაწილეობა“ სიღრმისეული ანალიზის შემდგომ გაკეთდა მიგნებები/დასკვნები: პროგრამა ბენეფიციარებს მთლიანობაში განიხილავს, როგორც გენდერულად ნეიტრალურ ჯგუფს. ის ნაკლებად ითვალისწინებს კონკრეტული ჯგუფების (მამები, დასაქმებული დედები, მიგრანტი მშობლები, შშმ - სსმ ბავშვების მშობლები, ეთნიკური უმცირესობები და სხვ.) მონაწილეობის წახალისების ზომებს, ამდენად, ის გენდერულად ნეიტრალურია.

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის ბენეფიციარები (აღსაზრდელი - გოგონები/ბიჭები; მშობლები - დედები, მამები და ა.შ.) არა მხოლოდ განსხვავებული ბიოლოგიური არსებები არიან, არამედ აქვთ სხვადასხვა გამოცდილება, საჭიროებები, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სერვისზე საუბრისას ხშირად ხდება იმის აღნიშვნა, რომ მოცემულ სფეროში საჭიროა ჰოლისტური ხედვები. ამდენად, გენდერულად სამართლიანი მიდგომების დასანერგად მნიშვნელოვანია შეიქმნას შესაბამისი შინაარსი.

სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ „სტანდარტს“ აქვს კარგად გამართული ინდიკატორები. ეს იძლევა საშუალებას, გამოჩნდეს

„სტანდარტის“ ზემოქმედება გოგონებზე და ბიჭებზე, ქალებზე და კაცებზე; თუ რამდენად არის გათვალისწინებული გენდერული სხვაობები/კატეგორიზაცია, თუნდაც განსხვავებული საჭიროების მქონე აღსაზრდელებსა და მათ მშობლებთან მიმართებით. გენდერული ზეგავლენის შეფასებით შეიძლება გამოყენებული იქნეს მათი გამოცდილება; მოხდეს არა მხოლოდ არსებული სტატუს-კვოს იდენტიფიცირება, არამედ განისაზღვროს გამოწვევები, ბენეფიციარების ხედვები და მოლოდინები მათი საჭიროებების გათვალისწინებისთვის და მათზე დაყრდნობით მომზადდეს შეთავაზებები სტანდარტით განსაზღვრული მიდგომების დასახვეწად, ცალკეულ განსხვავებებზე დაფუძნებული ინდიკატორების ინტეგრირებისთვის.

შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში სტანდარტის „ოჯახის და თემის მონაწილეობის კომპონენტი“ აღწევს თავის კონკრეტულ მიზანს, ხელს უწყობს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სერვისში ოჯახისა და თემის მონაწილეობის გაუმჯობესებას განსხვავებული პერსპექტივების აღიარებითა და ხელშწყობით, მაგრამ, საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, ის ვერ ქმნის თანაბარ შესაძლებლობებს ყველა აქტორისთვის, რადგან, ზოგადად, მიზნის მიღწევა დამოკიდებულია ბევრ გარემოებაზე, რომელთა დიდ ნაწილზე სკოლამდელ დაწესებულებებს პირდაპირი გავლენა ვერ ექნება (თემის სერვისების პროვაიდერების მოტივაცია თანამშრომლობისთვის, თემის მიერ პასუხისმგებლობის გააზრება, მშობლების/ოჯახების ცნობიერება, სტერეოტიპები საოჯახო როლებსა და ვალდებულებებთან მიმართებით და სხვ.).

„ოჯახისა და თემის მონაწილეობის“ კომპონენტის იმპლემენტაციით სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები აღწევენ მიზანს ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის სოციალური პარტნიორობის სისტემის დასანერგად, თუმცა არსებული პრაქტიკა, რიგ შემთხვევებში, არ არის საკმარისად ეფექტიანი

სხვადასხვა მიზეზის გამო (ჯგუფების გადატვირთულობა, პროფესიული კადრების სიმცირე, „პოზიტიური მშობლობისთვის“ გაწეული ძალისხმევის ფრაგმენტულობა და სხვა).

*საერთო ჯამში, პროგრამა წარმატებით ასრულებს თავის მთავარ ამოცანებს და ინდიკატორებს, თუმცა შესაძლებელია მისი კიდევ უფრო გაუმჯობესება და დახვეწა. მთლიანობაში* პროგრამა ხელს უწყობს თანასწორობას და ეხმიანება სამიზნე ჯგუფების ძირითად საჭიროებებს, მიუხედავად იმისა, რომ ის გენდერულად ნეიტრალურად არის გაწერილი.

*მნიშვნელოვანია, მისი მიზნები გახდეს კიდევ უფრო მეტად სენსიტიური, უფრო მეტად გაითვალისწინოს კაცებისა და ქალების განსაკუთრებული საჭიროებები, ზოგადი დემოგრაფიული პროფილი (რომელიც შეძლებისდაგვარად შეისწავლა გენდერული შეფასების გუნდმა და გამოკვეთა განსხვავებული გამოცდილება, მოლოდინები, საჭიროებები). ჩატარებული შეფასება ცხადყოფს, რომ პროგრამის პირდაპირი და არაპირდაპირი სამიზნე ჯგუფების გარკვეული კატეგორიები შედარებით უფრო მოწყვლადები არიან და ობიექტურ დაბრკოლებებს აწყდებიან, რის გამოც ნაკლებად ხდება მათი ჩართულობა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სერვისში და, შესაბამისად, ეს მოცემულობა ნეგატიურად აისახება, პირველ რიგში, მათი ოჯახების აღსაზრდელებზე.*

კვლევის მიგნებები უჩვენებს, რომ კომპონენტის წვლილი გენდერული თანასწორობის მიღწევაში გაიზრდება, თუ მოხდება სტანდარტის დახვეწა პროგრამის სენსიტიურობის კუთხით, გათვალისწინებული იქნება არსებული გენდერული ნორმები, ბენეფიციარების დემოგრაფიული პროფილი; მოხდება მონაცემთა შეგროვება და ანალიზი (სტანდარტის იმპლემენტაციის მონიტორინგი და შეფასება) და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების დანერგვა გენდერული პერსპექტივის და განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებით.

# თავი I. გენდერული ზეგავლენის შეფასების კონტექსტი

## ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია

*გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წელს მიღებულმა „ბავშვის უფლებათა კონვენციამ“ შეცვალა ბავშვების აღქმაც და მათდამი დამოკიდებულებაც - ბავშვები არიან განსაკუთრებული უფლებების მქონე ადამიანები და არა ქველმოქმედების მხოლოდ პასიური ობიექტები. კონვენცია აღიარებს, რომ ბავშვებს განსაკუთრებული ზრუნვა და დაცვა სჭირდებათ.*

*საერთაშორისო კონვენციები: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1989 წელს დაამტკიცა, საქართველომ კი მისი რატიფიცირება 1994 წელს მოახდინა, შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში ის სავალდებულო სამართლებრივი დოკუმენტია. კონვენციით გათვალისწინებული ზოგიერთი უფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვზე ორიენტირებული სკოლამდელი განათლების უზრუნველსაყოფად. ბავშვის უფლებების კონვენცია სამართლებრივი ჩარჩო დოკუმენტია სახელმწიფოებისთვის ბავშვებთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის შექმნის პროცესში.*

*„ბავშვის უფლებათა კონვენციის ზოგადი კომენტარი №7 - ბავშვის უფლებათა განხორციელება ადრეულ ასაკში“ (2005 წ.), რომელიც კონვენციასთან ერთად მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დოკუმენტია ადრეული ასაკის ბავშვებისთვის ბავშვზე ორიენტირებული სერვისების, მათ შორის, სკოლამდელი დაწესებულებების შექმნისა და ფუნქციონირებისთვის.*

*„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ 2006 წელს დამტკიცდა, ხოლო საქართველომ მისი რატიფიცირება 2014 წელს მოახდინა. კონვენციის მიღება განპირობებული*

*იყო იმით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის ბავშვები, სხვადასხვა სოციალური და ფიზიკური ბარიერის გამო ვერ ახდენენ საყოველთაო ადამიანის უფლებების სრულფასოვნად რეალიზებას, საზოგადოებრივი სტიგმისა და უარყოფითი დამოკიდებულებების გამო ხშირად არიან გარიყულნი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან და ვერ სარგებლობენ სიცოცხლისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სერვისებით.*

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობას შეადგენს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს განათლების მიღების უფლება. სკოლამდელი აღზრდა და განათლება უზრუნველყოფილია საქართველოს კანონით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“.

**„საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“** აწესრიგებს საქართველოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის, განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ორგანიზაციულ სტრუქტურას, ადგენს მათი დაფუძნების, საქმიანობისა და ანგარიშვალდებულების წესს, აგრეთვე მათი ავტორიზაციის სავალდებულოობას. ეს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტებისა და სხვა იურიდიული პირებისა და ფიზიკური პირების უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას,

აგრეთვე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსების პრინციპებს.[1]

კანონით განსაზღვრულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უფლებამოსილებები/ვალდებულებები სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, ამ კანონის, საქართველოს სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.[2] სამინისტროს მიერ ხდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების, მათ შორის, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა. სტანდარტის დაცვის უზრუნველყოფა სავალდებულოა მუნიციპალიტეტებისთვის.

კანონის მიხედვით, სამინისტროს აქვს ვალდებულება, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის, განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით შეიმუშაოს საჯარო დაწესებულების საქმიანობის მონიტორინგის სისტემა, განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება და მოამზადოს შესაბამისი რეკომენდაციები.[3] მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებები/ვალდებულებები სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში განსაზღვრულია კანონის მე-10 მუხლით.[4]

მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომ-

---

1 მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო. წყარო - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3310237?publication=15)

2 მუხლი 8. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უფლებამოსილებები/ვალდებულებები სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში. წყარო - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3310237?publication=16

3 იქვე

4 იქვე

სახურების მიწოდებას და ამისთვის შეისწავლიან მუნიციპალურ საჭიროებებს, გეგმავენ ადგილობრივ რესურსებს და განსაზღვრავენ საბიუჯეტო სახსრებს. კანონის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მიერ ხდება საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობებით დადგენილი განათლების უფლებისა და ბავშვისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სხვა უფლებების უზრუნველყოფა; ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და საზოგადოებასთან ეფექტიანი ურთიერთობის უზრუნველყოფა.

*„საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ ასევე განსაზღვრავს სკოლამდელი დაწესებულებების უფლებებს და ვალდებულებებს. მათ შორის უმნიშვნელოვანესია - დაწესებულებისთვის დადგენილი სტანდარტების დაცვა; ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების სრული გამჭვირვალობა; ბავშვთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და საზოგადოებასთან ეფექტიანი ურთიერთობა.*

## 1.1. მეთოდოლოგია

**კვლევის სამიზნე ჯგუფი** - სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო და კერძო დაწესებულებების აღსაზრდელების მშობლები (დედები, მამები, მეურვეები; ოჯახის სხვა წევრები: ბებია, ბაბუა, ბავშვის აღზრდასა და განათლებაში ჩართული ოჯახის სხვა წევრები); თავად აღსაზრდელები; ბენეფიციარების სპეციფიკური კატეგორია - სპეციალური საჭიროებების მქონე აღსაზრდელები *(კვლევის ყველა კომპონენტი და ინფორმაციის შეგროვება განხორციელებული იყო არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით);* პედაგოგები; დარგის სპეციალისტები (ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი); ბაღების გაერთიანების მესვეურები; თვითმმართველობის ბავშვთა უფლებების დაცვის განყო-

ფილების სოციალური მუშაკები, სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგები, ოჯახის ექიმები.

**კვლევის ვადები** - 1 სექტემბერი - 25 დეკემბერი

**მკვლევართა ჯგუფი** - კვლევის საველე სამუშაოების ჯგუფი შედგება 4 ექსპერტისგან, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა სფეროს: გენდერის სპეციალისტი, ადრეული აღზრდისა და განათლების სპეციალისტი, უფლებადამცველი, არაფორმალური განათლების სპეციალისტი, სოციალური ფსიქოლოგი/სოციოლოგი. კვლევაში ჩართული ექსპერტების მიერ მოხდა შერჩეული კომპონენტის თითოეული თავის შესწავლა პროგრამაში გაწერილი ინდიკატორების შესაბამისად. ინფორმაცია შეგროვდა წინასწარ შემუშავებული კვლევის ინსტრუმენტის გამოყენებით. მომდევნო ეტაპზე კვლევის ხელმძღვანელის და ასისტენტის მიერ მოხდა კვლევის შედეგების განზოგადება და მომზადდა ანგარიში.

**მეთოდები -** კვლევის მიზნების მისაღწევად გამოყენებული იყო კვლევის აქტიური ფორმები: ფოკუს-ჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუები, სამუშაო შეხვედრები, ონლაინ გამოკითხვები რაოდენობრივი მონაცემების შესაგროვებლად. გამოყენებულ იქნა წინასწარ შემუშავებული ანკეტა. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 620 რესპონდენტი. მათ შორის - 68 მამაკაცი, 552 ქალი. გამოკითხვაში ჩართული იყვნენ სხვადასხვა კატეგორიის მშობლები.

ჩატარდა 12 ფოკუს-ჯგუფი, 28 ინტერვიუ (თვისებრივი კვლევის რესპონდენტთა რაოდენობა - 112 ადამიანი: 84 - ფოკუს-ჯგუფში, 28 - პირისპირ ინტერვიუში. გენდერული ნიშნით: 101 ქალი, 11 მამაკაცი). კვლევამ მოიცვა 732 რესპონდენტი, მათ შორის 653 ქალი, 79 კაცი.

ფოკუს-ჯგუფებში ჩართული იყვნენ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფები: მშობლები (დედა, მამა, ოჯახის სხვა წევრები (ბებია, ბაბუა,

მამიდა, ბიძა), საბავშვო ბაღის პედაგოგები, აღმზრდელები, ფსიქოლოგები, ლოგოპედები, მეთოდისტები.

სიღრმისეული ინტერვიუსთვის ექსპერტებად შეირჩნენ სსმ/შშმ ბავშვების მშობლები, საბავშვო ბაღის დირექტორები, ბავშვის უფლებადამცველები, სოციალური მუშაკები, სერვისის მიმწოდებლები, ჯანდაცვის სპეციალისტები. თვისებრივმა კვლევამ მოიცვა ქუთაისის მუნიციპალიტეტის ექვსი სახელმწიფო და ოთხი კერძო ბაღი. გამოყენებული იყო კვლევის **პასიური ფორმებიც:** კაბინეტური კვლევა; დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია; პრიორიტეტების დადგენა.

GIA-ს მთავარი ფოკუსი: ახდენს თუ არა გავლენას მოცემული პროგრამა გოგონებსა და ბიჭებს, ქალებსა და კაცებს შორის არსებული გენდერული უთანასწორობების შემცირებაზე, შენარჩუნებაზე ან ზრდაზე.

GIA-ს პროცესში გენდერული კრიტერიუმების შესაბამისად შეფასდა არსებული სიტუაცია და ჩამოყალიბდა სტანდარტის კომპონენტის გაუმჯობესების რეკომენდაციები/ალტერნატივები. GIA-ს საბოლოო მიზანია, გაუმჯობესდეს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში ოჯახისა და თემის მონაწილეობის შემდგომი დაგეგმვის ეტაპი, მოხდეს გენდერულ თანასწორობაზე შესაძლო უარყოფითი გავლენების თავიდან არიდება და გაძლიერდეს თანასწორი მონაწილეობა უკეთ შემუშავებული, ტრანსფორმაციული მიდგომებით სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში.

**კვლევის ეტაპები:** 1. პოლიტიკის მიზნების განსაზღვრა; 2. გენდერული შესაბამისობის შემოწმება. შემდგომი ნაბიჯები: მონაცემთა ანალიზი; რეკომენდაციების გამოკვეთა (არის თუ არა ნეგატიური/პოზიტიური გავლენა; როგორ მოხდეს ნეგატიური გავლენის მინიმალიზება (ალტერნატივების შეთავაზება).

## 1.2. სტანდარტის მნიშვნელობა ბავშვებზე ორიენტირებული გარემოს შექმნის პერსპექტივით

სახელმწიფო აცნობიერებს განათლების მნიშვნელობას თანამედროვე საზოგადოების განვითარებისათვის და აცხადებს, რომ განათლებაზე ზრუნვა იწყება ადრეული, სკოლამდელი ასაკიდან.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სკოლამდელი აღზრდა სცილდება ბავშვის სკოლისთვის მომზადების არეალს და მიზნად ისახავს მის პიროვნებაზე ისეთი ზეგავლენის მოხდენას, რომელიც ბავშვს საზოგადოების სრულყოფილ წევრად ჩამოყალიბებისთვის საჭირო ჩვევებს განუვითარებს. სტანდარტი აღიარებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, რაც მოიაზრებს ბავშვის უფლებების რეალიზებისა და მისი ჰოლისტური განვითარების უზრუნველყოფისთვის კონკრეტულ სიტუაციაში ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას. ის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის ინდივიდუალური გარემოებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით განისაზღვრება.

**სტანდარტის მიზნები გენდერული თანასწორობის კუთხით:** თანამედროვე თეორიები ბავშვის განვითარებას ურთიერთობების სივრცეში, ურთიერთობის ჩარჩოში განიხილავს, რასაც ბავშვი ცხოვრების პირველ წლებში, განსაკუთრებით კი სკოლამდელ ასაკში, ოჯახში და საბავშვო ბაღში იღებს. ოჯახის მონაწილეობა დიდი ხანია წარმოადგენს მრავალი ქვეყნის სკოლამდელი აღზრდის პროგრამების ნაწილს.

ყველა ბავშვისთვის, გოგონებისა და ბიჭებისთვის, სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია თანასწორობის პრინციპების და ღირებულების პრაქტიკაში დანერგვა. თანასწორი გარემო მოიაზრებს, რომ ყველა ბავშვს, გოგონებს და ბიჭებს, აქვთ შესაძლებლობა, ჩაერთონ მრავალფეროვან აქტივობებში, მისდიონ

საკუთარ მრავალფეროვან ინტერესებს, ითამაშონ და იმეგობრონ ერთმანეთთან.[5]

ოჯახების ჩართულობისა და მშობლებთან მუშაობის ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვანია მშობლის დასაქმების ტიპის, სოციალური სტატუსის, ასაკის და სხვა მახასიათებლების გათვალისწინება, რომ ნებისმიერი კატეგორიის მშობელმა თვითონაც ეძებოს გზები მეტი მონაწილეობისა და ჩართულობისთვის.

**სტანდარტის მიზნები** - სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებების მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჰარმონიული განვითარება და სკოლისთვის მათი მომზადება. ის ითვალისწინებს ბავშვის ინტელექტუალურ, ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას, ხელს უწყობს ინდივიდუალური და პიროვნული თვითგამოხატვის უნარების გამოვლენასა და ესთეტიკური გემოვნების აღზრდას.

სახელმწიფო აცნობიერებს განათლების მნიშვნელობას თანამედროვე საზოგადოების განვითარებისათვის და აცხადებს, რომ განათლებაზე ზრუნვა იწყება ადრეული, სკოლამდელი ასაკიდან.

თითოეულ სტანდარტს გააჩნია ინდიკატორები, რომლებიც განსაზღვრავს იმ მონაცემთა ერთობლიობას, რომლებიც სტანდარტის მიზნების მიღწევას ემსახურება.

უნდა აღინიშნოს, რომ ინდიკატორები ნაკლებად ითვალისწინებს ბენეფიციართა თავისებურებების სპეციფიკას. ის გენდერულად ნეიტრალურია, მაგალითად - ერთი მხრივ, მეტი თავისუფალი დროის მქონე და, მეორე მხრივ, დასაქმებული მშობლის მიმართ; ნაკლებად ჩანს, ხდება თუ არა ორივე მშობლის - დედების, მამების; ოჯახის სხვა წევრების თანაბარი მონაწილეობა; მშობლების არყოფნის შემთხვევაში (ემიგრანტი ოჯახების ბავშვები) რამდენად უზრუნველყოფილია ურთიერთობა ბავშვების წარმომადგენლებთან.

---

5 https://www.unicef.org/georgia/media/3031/file/garemo-romelsac-uyvars-bavshvi.pdf

## ნაწილი 2. პროგრამის (ოჯახის და თემის მონაწილეობა) შერჩეული კომპონენტების აღწერა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები (შემდგომში – სტანდარტები) განსაზღვრავენ, თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს უნდა იძენდეს ბავშვი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ფარგლებში, ასევე განსაზღვრავს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების გარემოსა და საგანმანათლებლო ხარისხის სტანდარტს. სტანდარტი სავალდებულოა ყველა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებისათვის (მიუხედავად მათი სამართლებრივი ფორმისა).

სტრუქტურულად სტანდარტები აერთიანებს სამი სახის სტანდარტს: ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს; სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტს; ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს (შემდგომში - ხარისხის სტანდარტი).

**ხარისხის სტანდარტის** ერთ-ერთი მიმართულებაა **ოჯახისა და თემის მონაწილეობა** – მიმართულება, მასში მოცემულია შედეგები, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვის ოჯახის აქტიურ მონაწილეობას ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ყოველდღიურ საქმიანობაში და უზრუნველყოფს პოზიტიურ ურთიერთკავშირებს დაწესებულებასა და ბავშვის ოჯახს შორის.

ოჯახისა და თემის მონაწილეობის კომპონენტის აღწერა მოცემულია სტანდარტის მე-15 მუხლში.

***სტანდარტი 6. ოჯახისა და თემის მონაწილეობა. 6.1.*** *დაწესებულების თანამშრომლები, პროგრამაში მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართვის მიზნით, მათთან ურთიერთობისას იყენებენ ფორმალურ და არაფორმალურ კომუნიკაციას;* ***6.2****. ოჯახს აქვს პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობებში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობა, როგორც დაწესებულების ფარგლებში, ისე - მის გარეთ;* ***6.3.*** *პროგრამა უზრუნველყოფს ოჯახის მხარდაჭერას ბავშვის მრავალმხრივი განვითარების საკითხში;* ***6.4.*** *პროგრამა უზრუნველყოფს თემთან თანამშრომლობას.*

დოკუმენტით განსაზღვრული ინდიკატორები საშუალებას იძლევა გამოვლინდეს, რამდენად ხდება სტანდარტით განსაზღვრული მიზნების მიღწევა.

## ნაწილი 3. პროგრამის (ოჯახის და თემის მონაწილეობა) კომპონენტის გენდერული შესაბამისობა

*სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, საქართველოს მასშტაბით 2023-2024 სასწავლო წელს 1.708 საჯარო სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება ფუნქციონირებდა, რომელშიც 141.324 აღსაზრდელი ირიცხებოდა. უწყების ცნობით, ქვეყანაში არსებულ საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში მთლიანობაში დასაქმებულია 17.620 აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი/აღმზრდელის თანაშემწე/ინკლუზიური განათლების სპეც. პედაგოგი. „საქსტატის“ ინფორმაციით, საქართველოში ყველაზე მეტი - 308 საჯარო საბავშვო ბაღი იმერეთის რეგიონში ფუნქციონირებს, სადაც 17.729 აღსაზრდელი და სხვადასხვა სტატუსის 2.707 პედაგოგი მუშაობს.*

*2002 წელს განხორციელებული სკოლამდელი განათლების სექტორის სისტემის დეცენტრალიზაციის რეფორმის შედეგად, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაარსებაზე, მისი მართვისა და დაფინანსების პრინციპების შემუშავებაზე პასუხისმგებლობა ადგილობრივ თვითმმართველობას დაეკისრა. თუმცა ეს ფორმები სხვადასხვა მუნიციპალიტეტში სხვადასხვაა. ქუთაისში ფუნქციონირებს ბაგა-ბაღების გაერთიანება, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კომპლექსურ დაწესებულებას წარმოადგენს. გაერთიანებას ხელმძღვანელობს დირექტორი. გაერთიანება შედგება ფილიალებისგან (საბავშვო ბაღები), რომელთაც ხელმძღვანელობს მმართველი.*

პროგრამის ბენეფიციარების, მასთან შემხებლობაში მყოფი აქტორების სოციალური, ფსიქოემოციური მდგომარეობა, მზაობა, სრულფასოვნად იყვნენ ჩართულნი პატარების აღზრდისა და განათლების, მათთვის ჯანსაღი, საჭიროებებზე მორგებული, კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაში, დიდწილად არის დამოკიდებული გენდერული თანასწორობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კუთხით არსებულ მოცემულობაზე. სოციალური უთანასწორობა, სტერეოტიპები, მოწყვლადობის ხარისხი, რომელსაც განაპირობებს ბენეფიციარების სპეციფიკური საჭიროებები, ოჯახის სოციო-დემოგრაფიული პროფილი - ის მახასიათებლებია, რომლებიც განაპირობებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტის, ამ შემთხვევაში ოჯახისა და თემის მონაწილეობის კომპონენტის ეფექტიანობისთვის აუცილებელ კორექტირებებს თავად სტანდარტის დოკუმენტსა და მის იმპლემენტაციაში, პრაქტიკასა და მიდგომებში.

გენდერული ზეგავლენის შეფასებისთვის საკვლევ თემად აღებული „ოჯახისა და თემის მონაწილეობის“ სტანდარტის გაანალიზებისას გასათვალისწინებელია, რომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში არსებული პრაქტიკა და მასთან დაკავ-

შირებული გამოწვევები სხვადასხვანაირად მოქმედებს ადამიანებზე სხვადასხვა გენდერული როლის, სხვადასხვა სოციალური მახასიათებლის, მოწყვლადობის, განხვავებული პრიორიტეტების გამო. იმის გათვალისწინებით, რომ ბენეფიციარები, მათი მშობლები, პედაგოგები შეიძლება აღმოჩნდნენ არასტანდარტულ სიტუაციებში, რომელიც ზოგჯერ დამოკიდებულია სქესზე (და შეიძლება დისკრიმინაციული იყოს მამა მშობლის მიმართ), ზოგჯერ დემოგრაფიულ პროფილზე (მაგალითად - მიგრანტი ან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მშობლები), სპეციფიკურ საჭიროებაზე (სსმ, შშმ აღსაზრდელების ოჯახები), სოციალურ სტატუსზე (დევნილი ოჯახები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, მარტოხელა მშობლები) და ა.შ., რაც არაიშვიათად იწვევს ტრავმულ, სტრესულ და რთულ გამოცდილებას, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია გენდერული სხვაობების გამოკვეთა და მათზე საპასუხო მოქმედებები, რომელთაც სისტემური ხასიათი უნდა ჰქონდეთ.

პროგრამის გენდერული ზეგავლენის შეფასება ხელს უწყობს გენდერული მეინსტრიმინგის ჩართვას ოჯახისა და თემის მონაწილეობის კომპონენტში. უფრო მეტიც, ამ შეფასების ფარგლებში შეძენილი გამოცდილება და ცოდნა ირიბად მოახდენს გავლენას სტანდარტის სხვა მიმართულებებზეც, არსებული გენდერული სხვაობებისა და საჭიროებების ხაზგასმით. ეს ასევე ეხება სახელმწიფო და კერძო ბაღების პრაქტიკას სტანდარტით გათვალისწინებული მიდგომების იმპლემენტაციის და შესაძლებლობების კუთხით.

# თავი II. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მიმართულების, კერძოდ, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ოჯახისა და თემის მონაწილეობის კომპონენტის გენდერული ანალიზი

## ნაწილი 4. რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი

### 4.1. ფორმალური და არაფორმალური კომუნიკაციები ადრეული და სკოლამდელი განათლების პროგრამაში მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლების ჩართვისთვის

სააღმზრდელო პროცესებში ოჯახისა და თემის ჩართულობა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სრულფასოვანი განათლებისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს და ახალი შესაძლებლობების ფანჯარაა ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის. ოჯახისა და თემის რესურსების ინტეგრირება და ინკლუზიური მიდგომების დანერგვა მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნის ბავშვის სარგებელზე და განვითარებაზე ორიენტირებული გარემო-პირობების შესაქმნელად.

**წინამდებარე კვლევაში** ერთ-ერთ საკვლევ მიმართულებას წარმოადგენს პროგრამაში მშობელთა ჩართვისთვის გამოყენებული კომუნიკაციის საშუალებების და მისი ეფექტიანობის შეფასება.

ხარისხის სტანდარტის ოფიციალურ ჩანაწერში მკაფიოდ არის გაწერილი შესაბამისი ინდიკატორები, რომლებიც თემისა და ოჯახის ჩართულობის მექანიზმებსა და შესაძლებლობებს გვიჩვენებს. ინდიკატორის თანახმად, განსაზღვრულია ფორმალური და არაფორმალური კომუნიკაციების ფორმები სკოლამდელი განათლების პროგრამაში მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობის გასაზრდელად. კომუნიკაციის მრავალფეროვანი ფორმატი - პირდაპირი, წერილობითი, ელექტრონული,

სატელეფონო, მშობელთა დაფა, საინფორმაციო ბუკლეტები, სოციალური ქსელები - მნიშვნელოვნად ზრდის მშობელთა ჩართულობისთვის ხელსაყრელი საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას.

თუმცა, ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის სტანდარტის ოფიციალურ დოკუმენტში არ არსებობს კონკრეტული გენდერული შინაარსის ჩანაწერი, რომელიც მკაფიოდ დაადეკლარირებდა ორივე მშობლის ჩართულობის და მათი ინტერესების თანაბრად გათვალისწინების შესაძლებლობას, რაც, საბოლოოდ, დოკუმენტის პრაქტიკულ სამოქმედო ველს გენდერულად დააბალანსებდა.

გამოკითხვიდან მიღებული მასალები, გამოკვეთილი მიგნებებისა და ტენდენციების ანალიზი ნათელს ჰფენს, რამდენად სრულდება არსებული სტანდარტი პრაქტიკაში და როგორია ბენეფიციარებზე გენდერული ზეგავლენის ხარისხი.

გენდერული გავლენების შეფასების პროცესისთვის საინტერესოა ხარისხის სტანდარტის დოკუმენტის არსებობაზე ინფორმირებული ადამიანების რაოდენობის განსაზღვრა. რაოდენობრივი კვლევის მასალები ადასტურებს, რომ გამოკითხული მშობლების 61,1% ინფორმირებულია სკოლამდელი აღზრდის და განათლების პროგრამებში ოჯახის და თემის მონაწილეობის კომპონენტზე. მიღებული სურათი თავისი შინაარსით პოზიტიურია და წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, ინფორმირებულობის თვალსაზრისით მიღებულ მაჩვენებელს გენდერულად ჩაშლილი მონაცემები აუფერულებს და ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას - მამების ნაკლებინფორმირებულობას წარმოაჩენს. მამა/მშობლების მხოლოდ 11% ადასტურებს, რომ ფლობს დოკუმენტის შესახებ ინფორმაციას.

კვლევაში ჩართული რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათთვის კომუნიკაციის ძირითადი არხი უმეტეს შემთხვევაში არის მესენჯერ-ჩათი, სატელეფონო კომუნიკაცია ან პირისპირ

ურთიერთობა. ირკვევა, რომ სოციალური ქსელით კომუნიკაცია (მესენჯერ-ჩათები) ყველაზე ეფექტურია, ხშირ შემთხვევაში ათანაბრებს ყველა ტიპის მშობლის ინტერესებს და ჩართულობის მაჩვენებელს ზრდის.

გენდერული ნიშნით სეგრეგირებული მონაცემებით კომუნიკაციის აღნიშნული საშუალებების მომხმარებლები, ძირითადად, ქალები არიან: დედა-მშობელი ან ბებია (იმ შემთხვევაში, თუ დედა ემიგრაციაშია, ან დასაქმებულია). ჩათებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის მიუხედავად, მამების ჩართულობა მაინც დაბალია.

ანალოგიურია თვისებრივი გამოკითხვით მიღებული ინფორმაციებიც. ცალსახად იკვეთება, რომ მამა/მშობლების მხრიდან მსგავს ჩათებში ჩართვის პრაქტიკა თითქმის არ არსებობს. გამონაკლისს წარმოადგენს ერთეული შემთხვევები, როცა დედა ემიგრანტია და საკონტაქტო პირს მხოლოდ ბავშვის მამა წარმოადგენს.

> ***„ჩათში, ძირითადად, დედები არიან, ან - ბებიები. მამები თითქმის არ არიან. ერთი მამა იყო გაწევრიანებული, რადგან დედა ემიგრაციაში იყო, თუმცა ის არასოდეს ყოფილა ამ ჩათში აქტიური. შესაძლოა, არც კითხულობდა ინფორმაციებს. უბრალოდ იყო ფორმალურად“. - მ. დ., 29 წლის, დედა.***

აღნიშნულის მიუხედავად, კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის უმთავრეს პლატფორმად მაინც მესენჯერ-ჩათი ითვლება. მისი უპირატესობა იმით აიხსნება, რომ მშობლებსა და ბაღების პერსონალს შორის სწორედ ამ სივრცეში ხდება სიახლეების და ახალი ინიციატივების განხილვა, რაც შემდეგში პოზიტიურ გავლენას ახდენს ბაღების საერთო აღმზრდელობით საქმიანობაზე და ძირითად მოსარგებლე პირებზე.

გამოკითხვა ადასტურებს, რომ ონლაინ-ჩათები კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არხია ემიგრანტი მშობლებისთვის, რომელსაც ხშირ შემთხვევაში საბავშვო ბაღები უფრო კონკრეტული აქტივობისთვისაც იყენებენ.

*„ბაღში წიგნის კვირეული გვქონდა, მშობლები მივდიოდით და ვკითხულობდით ორ-სამ გვერდს, მერე ისეთი მშობლებიც ჩაგვერთნენ ონლაინ, რომლებიც საზღვარგარეთ არიან. ამას საოცარი ეფექტი ჰქონდა. დიდი სიხარული გამოიწვია, პირველ რიგში, მათი შვილების მხრიდან. მერე ეს განწყობა ყველას გადაედო. მთელი ჯგუფი ნასიამოვნები დარჩა". - მ. ბ., 24 წლის, საჯარო ბაღის მშობელი.*

ერთ-ერთი აღსაზრდელის მამა ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ჰქონდა შემთხვევა, როცა თავად მისგან წამოვიდა ინიციატივა, ჩართულიყო მშობლების ჩათში, საბოლოდ ისე გამოვიდა, რომ მამებისთვის ცალკე ჩათი შეიქმნა და ჯგუფმა დედების და მამების ჩათებით გააგრძელა მუშაობა, რაც, რა თქმა უნდა, არარელევანტური აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩათში ურთიერთობის ფორმატი ძალიან აქტიური და უმეტესობისთვის მისაღებია, გამოკითხული რესპონდენტების უდიდესი უმრავლესობისთვის მაინც უპირატესია დაწესებულების პერსონალთან ინდივიდუალური ურთიერთობები (78,4%). საგულისხმოა, რომ ამ ფორმატის უპირატესობას მამების დიდი ნაწილიც (62,38%) აღიარებს. იგივეს ადასტურებს თვისებრივი მონაცემებიც.

*„მირჩევნია, ბავშვის მიყვანის ან გამოყვანის დროს გავესაუბრო ბაღის პერსონალს და ვიკითხო ჩემი შვილის მდგომარეობა. ეს ინფორმაციები ჩემთვის უფრო სასარგებლოა. არ ვიცი, ჩათში რა ხდება, არ ვარ საერთოდ გაწევრიანებული". - მ. ბ., 24 წლის, მამა.*

კომუნიკაციის საშუალებად თითქმის არ გამოიყენება ელექტრონული ფოსტა. ამის მიზეზი საკმაოდ ბანალურია, თვითონ საბავშვო ბაღების ტექნიკური აღჭურვა არ არის სტანდარტის შესაბამისი, არა აქვთ გამართული ინტერნეტი, კომპიუტერი. შესაბამისად, კომუნიკაციის ეს ინსტრუმენტი ნაკლებად გამოიყენება.

მშობლებისთვის, თითქმის ყველა ბაღში, ინფორმაციის პირველწყაროდ აქტიურად გამოიყენება საინფორმაციო დაფა. მშობლების უმრავლესობა ადასტურებს, რომ ამ დაფების დახმარებით იღებს ინფორმაციას - მაგალითად, კვების რაციონზე, ბაღში მიმდინარე აქტივობებზე და სხვა სახის სიახლეებზე. ეს აზრი დაფიქსირდა ფოკუს-ჯგუფებზე, სადაც ადრესატების ძირითად ნაწილს დედები წარმოადგენდნენ.

> ***„ყოველდღე, როცა ბაღში შევდივარ, საინფორმაციო დაფას ვუყურებ, რომ ახალი ამბები გავიგო. ეს ძალიან საჭიროა. აქ უფრო ოფიციალური ინფორმაციები იდება და მაინტერესებს. თუ ცვლილება ან ახალი ინფორმაცია დაემატა, ამას მაშინვე ვამჩნევ". - თ. კ., 31 წლის, დედა.***

კვლევის ფარგლებში არ დაფიქსირებულა შემთხვევა, რომ ბაღი პროგრამაში მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ჩართვის მიზნით იყენებდეს საინფორმაციო ბუკლეტებსა თუ  მშობელთა გზამკვლევებს, სადაც ყველა ტიპის ინფორმაცია იქნებოდა გენერირებული და ყველასთვის ერთნაირად ხელმისაწვდომი.

გამოკითხვით მიღებული იქნა ინფორმაცია, რა განაპირობებს მშობლების მეტ ჩართულობას და მონაწილეობას სკოლამდელი აღზრდის და განვითარების პროგრამაში, რომელი მხარეა კონკრეტულ ინიციატივებზე პასუხისმგებელი: რაოდენობრივი მონაცემები ადასტურებს, რომ რესპონდენტთა 49,54%-ის აზრით, ბაღების მხრიდან წამოსული ინიციატივები ხელს შეუწყობდა მშობელთა ჩართულობის გაზრდას.

რაოდენობრივ მაჩვენებელზე დაყრდნობით დასტურდება, რომ გამოკითხულთა 21,4%-ის აზრით, მშობლებისგანაც უნდა მოდიოდეს დაინტერესება. მიღებული მოცემულობის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ცალმხრივი ინიციატივები არასაკმარისია და ნებისმიერ შემთხვევაში მშობელთა ჩართულობის გასაზრდელად ორივე მხარის მოტივაცია აუცილებელია.

გამოიკვეთა მიგნება, რომ მშობლებთან კომუნიკაციის ფორმატის გაუმჯობესების მცდელობით უფრო მეტად გამოირჩევიან საჯარო ბაღები. ამ ინფორმაციას ფოკუს-ჯგუფის დისკუსიებიც ადასტურებს.

> ***„თავიდან კერძო ბაღში დამყავდა ბავშვები. ბაღის პერსონალის მხრიდან თითქოს ჩანდა თანამშრომლობისთვის მზაობა, თუმცა დროთა განმავლობაში აღმოვაჩინე, რომ ბაღი თავად არ ახალისებდა ჩემი, როგორც მშობლის ჩართულობას. ახლა ორივე ბავშვი ისევ საჯარო ბაღში დამყავს. ვფიქრობ, აქ ამ კუთხით უკეთესი მდგომარეობაა". - ბ. გ., 29 წლის, მამა.***

ამ მოსაზრებას ამყარებს სიღრმისეული ინტერვიუებიდან მიღებული ექსპერტთა მოსაზრებებიც, რომლებიც ადასტურებენ, რომ საჯარო ბაღები უფრო მეტად გამოირჩევიან წამახალისებელი ინიციატივებით: მაგ.: აქტიურ მშობლებს აძლევენ სერთიფიკატებს, ანიჭებენ ნომინაციებს და ნერგავენ სხვადასხვა შინაარსის წამახალისებელ პრაქტიკას.

თუმცა, ამავე დროს, ჩანს, რომ ხშირად მსგავსი ინიციატივების მრავალფეროვნება კონკრეტული ადამიანების მიდგომებზე უფრო მეტად არის დამოკიდებული, ვიდრე სტანდარტის დოკუმენტით განსაზღვრული ინდიკატორების მუშაობაზე.

ნიშანდობლივია, რომ არსებითად განსხვავდება შშმ/სსმ ბავშვის მშობლებთან კომუნიკაციის ხარისხი კერძო და საჯარო ბაღებში.

გამოწვევის სახით იკვეთება, რომ არსებობს მშობლების კატეგორია, რომლებსაც შვილები სპეციალურ ცენტრებში დაჰყავთ და ამაზე სკოლამდელი დაწესებულების პერსონალთან არ საუბრობენ. ვერ აცნობიერებენ შშმ ან სსმ ბავშვების საერთო ფსიქოსომატური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარების აუცილებლობას და მნიშვნელობას.

მსგავსი ტიპის გამოწვევაზე უფრო მეტი ლავირებით გამოირჩევიან საჯარო ბაღები. თუ ბაღებს ჰყავთ ფსიქოლოგი, ამ შემთხვევაში ის იღებს პასუხისმგებლობას, დაუკავშირდეს ცენტრის ფსიქოლოგს, გამოითხოვოს ინფორმაცია და გაეცნოს ბავშვის ფსიქოსოციალურ მდგომარეობას, შეისწავლოს მასთან მუშაობის ინდივიდუალური პროგრამა და, შედეგებიდან გამომდინარე, იგივე პრინციპით გააგრძელოს ასეთ ბავშვთან მუშაობა. თუმცა ირკვევა, რომ მსგავსი ტაქტიკა ყველა მშობელთან არ მუშაობს და ბაღის პედაგოგებს მშობლებთან ცალკე სჭირდებათ დამატებითი მუშაობა მსგავსი კოორდინაციის აუცილებლობის დასამტკიცებლად, რათა მოხდეს საერთო მიდგომა მისი მრავალმხრივი განვითარებისთვის:

> ***„საჯარო ბაღებში შშმ/სსმ ბავშვების მშობლებთან კომუნიკაცია ძალიან მჭიდროა და მათთან მუშაობა ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით ხდება. ეს თანამშრომლობა ყოველთვის კარგ შედეგებს იძლევა ბავშვზე პოზიტიური ზემოქმედების კუთხით". - თ. ი., საჯარო ბაღის პედაგოგი.***

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კერძო სექტორში ნაკლებად ხდება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების და მათი მშობლების საჭიროებების დაკმაყოფილება, რადგან ასეთ კერძო ბაღებს არა აქვთ სპეც. პედაგოგის და ფსიქოლოგის კადრების აყვანის ფუფუნება. შშმ ან სსმ ბავშვების არსებობის შემთხვევაში საბავშვო ბაღების როლი ბავშვის გარემოსთან ადაპტაციისა და ზოგადი უნარების განვითარების პროცესში შედარებით დაბალია. არც მშობლების მხრიდან შეინიშნება განსაკუთრებული ინიციატივები და საბოლოოდ ამ კატეგორიის ბავშვები მხოლოდ სპეციალიზებული პროგრამების სერვისებით შემოიფარგლებიან.

კიდევ უფრო რთულია გენდერული ნიშნით პასუხისმგებლობების გადანაწილება შშმ და სსმ ბავშვის მშობლებთან მიმართებაში. თვისებრივი ინფორმაციებიდან გამომდინარე, რესპონდენ-

ტებს უჭირთ ისეთი ფაქტების გახსენება, როცა მამა/მშობელი აქტიურად იყო ჩართული შშმ ბავშვის განვითარების სპეციალურ პროგრამებში. ასეთ დროს მთელი პასუხისმგებლობა დედებს აქვთ აღებული და მამებს უჭირთ ბავშვის საჭიროებებზე საუბარიც კი.

> ***„ჩვენ გვყავდა რამდენიმე სსმ ბავშვი. ძირითადად, მამებს მანქანით მოჰყავდათ, დედებს კი შემოჰყავდათ ბაღში. დიალოგი დედებთან გვქონდა მუდმივად, ეს, ძირითადად, ბავშვის მდგომარეობას შეეხებოდა. ერთხელ მარტო მამა მოვიდა ბავშვის წასაყვანად, როცა ბავშვის მდგომარეობაზე დავუწყე საუბარი, უხერხულად მომიშორა, დედამისმა იცის მაგის ამბავი, მაგას მოუყევიო. მოსმენაც არ ისურვა“. - მ. ი., ბაღის აღმზრდელი.***

ბავშვთა ფსიქოლოგები და ამ მიმართულებით მომუშავე სხვა სპეციალისტები აუცილებლად მიიჩნევენ და არგუმენტირებულად ასაბუთებენ მშობლების თანაბარი ჩართულობის პოზიტიურ ზეგავლენას ბავშვის განვითარების ყველა ეტაპზე.

ხარისხის სტანდარტის დოკუმენტის ინდიკატორის თანახმად, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ პროგრამის ფარგლებში შერჩეული მეთოდოლოგიის, კურიკულუმის მიზნებისა და დაგეგმილი საქმიანობების შესახებ.

აქაც ცალსახად იკვეთება კერძო და საჯარო ბაღებს შორის არსებითი განსხვავება. მიღებული თვისებრივი მასალების გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საჯარო ბაღები უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი მსგავსი დოკუმენტების გასაჯაროებით. წლის დასაწყისში უკვე იციან, რა სახის აქტივობები იგეგმება ბაღში. კერძო ბაღებს ნაკლებად აქვთ მსგავსი დოკუმენტების გასაჯაროების პასუხისმგებლობა. აღნიშნულ ინფორმაციას ადასტურებენ ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები - როგორც პედაგოგები, ასევე მშობლები.

*„საჯარო ბაღებში ეს ამბავი უფრო გამჭვირვალეა, ეს ინფორმაცია შეგიძლია მოიპოვო. კერძო ბაღებში ამ კუთხით სხვა მიდგომებია. ნაკლებად არის მსგავსი დოკუმენტების გაცნობის შესაძლებლობა“. - მ. ყ., ბაღის პედაგოგი.*

*„ჩვენ გვაქვს მშობლის კუთხე, სადაც გეგმები, პროგრამები, კურიკულუმები არის განთავსებული. ინფორმაციები ხშირად ახლდება და მშობლებს შეუძლიათ, ეს ინფორმაციები მიიღონ ადვილად “. - თ. დ., 31 წლის, დედა.*

კვლევის შედეგებით, დაგეგმილი აქტივობები წინასწარ ზიარდება სოციალური ქსელის საშუალებით, სადაც ყველა მშობელს მიეწოდება ინფორმაცია და თანაბარი შესაძლებლობა აქვს, ჩაერთოს ღონისძიებებში. თავისი შინაარსით ეს აქტივობები დასაწყისშივე გენდერულად ნეიტრალურია და ორივე მშობელს ჩართულობის თანაბარი შესაძლებლობა აქვს. თუმცა, საბოლოოდ, ჩართულობის გენდერული მაჩვენებელი აბსოლუტურად დაუბალანსებელია: ყველა ზეიმში, რომელიც საბავშვო ბაღში ეწყობა, მეტწილად დედები არიან ჩართულები, ან ბებიები (თუ დედებს არ სცალიათ, ან უცხოეთში არიან).

აღსანიშნავია, რომ გამოკითხული რესპონდენტების აზრით, ბოლო პერიოდში პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება მამების ჩართულობის თვალსაზრისით, რასაც ბაღების აქტიურ მუშაობას უკავშირებენ.

*„ძალიან შეიცვალა დამოკიდებულება მამების მხრიდან. ჩემი ჯგუფის გამოსაშვებ საღამოზე, მაგალითად, დოლზე უკრავდა მამა და ბავშვიც ძალიან აღფრთოვანებული იყო“. „მამები გარე აქტივობებშიც ერთვებიან აქტიურად, რაც ძალიან კარგ შედეგს იძლევა. მონაწილეობენ მხიარულ სტარტებში. ერთ-ერთი ბავშვის მამა კომიტეტის თავმჯდომარეც იყო და სხდომებზეც სულ დადიოდა. ამ მხრივ უკეთესი სურათია. უფრო თანამედროვე მამები მოდიან“. - ბ. გ., ბაღის მმართველი.*

მართალია, ერთეული შემთხვევები გენდერული დისბალანსით შექმნილ საერთო სურათს ვერ ცვლის, თუმცა მსგავსი პრეცედენტები საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებას ნამდვილად ეხმარება. გარდა მშობლებისა, ოჯახის სხვა წევრების ჩართულობის წახალისებაც ხდება ბაღის მხრიდან, რაც სტანდარტის გათვალისწინების პოზიტიურ ზეგავლენას ადასტურებს. პედაგოგების აღნიშვნით, ისინი ცდილობენ ღონისძიებებში ოჯახის სხვა წევრების ჩართვას, რათა მათ გაითავისონ ფსიქოლოგიური უსაფრთხოების პასუხისმგებლობა და ბავშვმა კომფორტულად იგრძნოს თავი.

> ***„ბებუებიც ხშირად ერთვებიან ხოლმე ჩვენს საქმიანობაში. ეზოში ჩიტების სახლების გაკეთება იყო საჭირო. ამ საქმეში ჩვენი მხრიდან წახალისება მოხდა და ბებიებიც სიხარულით ჩაერთნენ. გარდა მშობლებისა, აქტივობებში ასევე მონაწილეობა მიუღიათ დედმამიშვილებს. მაგალითად, ზღაპრის კითხვის კვირეული გვქონდა ბაღში და დედის გარდა ოჯახის სხვა წევრებიც იყვნენ ჩართულნი. ასევე მონაწილეობას იღებდნენ აქტივობის დაგეგმვის პროცესში, მათ იდეებს და მოსაზრებებს ყოველთვის ვითვალისწინებთ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბავშვებზე ძალიან კარგად მოქმედებს ასეთი საერთო ჩართულობა.“ - ქ. რ., საჯარო ბაღის პედაგოგი.***

სტანდარტის ინდიკატორი თავისუფლებას ანიჭებს საბავშვო ბაღის პერსონალს, საჭიროების შესაბამისად თავად განსაზღვრონ მშობლებთან კომუნიკაციის/შეხვედრების რაოდენობა. ჩანაწერში ვკითხულობთ: „ტარდება რეგულარული შეხვედრები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებით - საჭიროებისა და სურვილისამებრ, შესაძლებელია შეხვედრების რაოდენობის გაზრდა“. ეს ცალსახად ადასტურებს, რომ სტანდარტის ძირითადი ამოცანა ბავშვის განვითარება და პროგრესია. ამ პროგრესის მისაღწევად

მნიშვნელოვანია პროგრამის მუშაობის **შედეგების პერიოდული შეფასება, რომელიც მონიტორინგის სისტემას უნდა ეფუძნებოდეს. იკვეთება, რომ შიდა მონიტორინგის სისტემა ბაღებში თითქმის არ არსებობს და პროგრამის მუშაობის გავლენების შეფასებაც გართულებულია.**

კვლევის თვისებრივი მონაცემები ადასტურებს, რომ შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციების შეგროვებისა და ანალიზის პრაქტიკის არარსებობის გამო, საჭიროებების გამოკვეთა და შესაბამისი ინიციატივების დანერგვა უფრო მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირებს ეფუძნება:

> ***„ხშირად გვეკითხებიან ბაღის პედაგოგები, თუ მოგვწონს არსებული პროგრამები, ან ბავშვები როგორ აფასებენ. ჩვენ ვუზიარებთ მათ ჩვენს პრობლემებს. რაც შესაცვლელია, იცვლება. ეს პირველ რიგში ჩვენი ბავშვებისთვის კეთდება“. - ს. ა., 26 წლის, დედა.***
>
> ***„როცა აქტივობას ვგეგმავთ, მშობლებთან ერთად განვიხილავთ, ვიხსენებთ წინა ღონისძიებებს, რა არ მოგვეწონა და იმის გამოსწორებას ვიწყებთ“. - დ. ს., ბაღის პედაგოგი.***

სტანდარტის ხარისხის შესაბამისად, დოკუმენტში გაწერილი ინდიკატორით, საჯარო დაწესებულება უზრუნველყოფს საკონსულტაციო საბჭოს მუშაობას და ხელს უწყობს დაინტერესებული მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართვას აღნიშნულ საქმიანობაში.

„ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების ფილიალების შინაგანაწესის“ 31-ე მუხლის მიხედვით, საკონსულტაციო საბჭოს ჰყავს 7 წევრი: 5 მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი და 2 აღმზრდელ-პედაგოგი. იმის მიუხედავად, რომ ყველა ბაღში არსებობს მშობელთა საკონსულტაციო საბჭო, ის ყოველთვის ვერ ახერხებს თავისი ფუნქციის ეფექტიანად შესრულებას. გამოიკვეთა პოზიცია, რომ საკონსულტაციო საბჭოს აქტიურ ფუნქციონი-

რებას ხშირად ხელს უშლის ე.წ. მშობელთა ოთახის (შეხვედრების სივრცის) არარსებობა.

> ***„იდეალური იქნებოდა, მაგალითად, რომ საბჭოს, რომელიც ყველა ბაღში არსებობს და მის წევრებს ჰქონდეთ ერთი ოთახი ბაღის შენობაში. მშობელს შესაძლებლობა ექნება, ჩართული იყოს ბაღის სხვადასხვა აქტივობაში. საბჭოს თავისი გეგმა უნდა ჰქონდეს, როგორ ახდენს ბავშვის განვითარებისთვის საჭირო ინფორმაციების აკუმულირებას მშობლებთან და ბაღის ადმინისტრაციასთან კოორდინაციით". - ს. მ., საჯარო ბაღის მმართველი.***

საბჭოს მუშაობა თავისი შინაარსით მნიშვნელოვანია და ორიენტირებულია ბავშვის სრულფასოვან განვითარებაზე. გამოწვევის სახით უნდა ითქვას, რომ გენდერული ზეგავლენა ვერ იქნება პოზიტიური, ვინაიდან საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა გენდერულად დაუბალანსებელია. მისი წევრები უმრავლეს შემთხვევაში დედები არიან, ეს კი გამორიცხავს მამების რესურსის, მათი ხედვების გამოყენებას სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროცესში.

თავად ბაღის ადმინისტრაციებიც აცნობიერებენ ამ გამოწვევას და ორიენტირებული არიან სურათის შესაცვლელად. თვისებრივი მონაცემები ადასტურებს, რომ პროცესი დინამიურად ცვალებადია პოზიტიური მიმართულებით, თუმცა გენდერული ბალანსის შექმნა ჯერჯერობით მხოლოდ მცდელობების დონეზეა.

> ***„ჩვენ არ ვაკლებთ მცდელობას და მოწადინებული ვართ, საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში მამებიც გვყავდეს. ოდნავ უკეთესი სურათი გვაქვს, თუმცა მხოლოდ სიაში ჩანაწერი არ ცვლის პრობლემას. ამიტომ ვცდილობთ, საბჭოს შეხვედრები მამების გრაფიკს მოვარგოთ, რათა ისინი პასიურ წევრებს არ წარმოადგენდნენ". - თ. გ., ბაღის პედაგოგი.***

აღნიშნული მიმართულების შეჯამებისას შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფო სტანდარტის აღნიშნული მიმართულების პრაქტიკული მოქმედების ეფექტი საკმარისად პოზიტიურია და შინაარსობრივად სახეზეა კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მრავალფეროვანი ფორმატი. აღნიშნული მიმართულებით გამოვლენილი გამოწვევები დაძლევადია. კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ნიშნულის გაუმჯობესება, გენდერულად დაბალანსებული გარემო, მშობელთა ჩართულობის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ყველა კატეგორიის ბავშვზე მორგებული, სრულფასოვანი გარემოს შექმნას.

### 4.2. მშობლების/ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობებში სკოლამდელი დაწესებულებების ფარგლებში და მის გარეთ

სტანდარტის ხარისხის პროგრამა მიზნად ისახავს, ოჯახებს შეუქმნას პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობებში სკოლამდელი დაწესებულებების ფარგლებში და მის გარეთ აქტიურად ჩართვის შესაძლებლობა. ამას ადასტურებს დოკუმენტის ოფიციალური ჩანაწერი. ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვა მნიშვნელოვნად განაპირობებს თითოეული ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას. მთელი ეს პროცესი ორიენტირირებულია იქითკენ, რომ მეტი სარგებელი მიიღოს ბავშვმა და მისი აღზრდა-განვითარების საკითხში სუფევდეს პოზიტიური დინამიკა.

შესამჩნევი პროგრესის მისაღწევად მნიშვნელოვანია ოჯახებთან თანამშრომლობა და მათი ჩართვა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ბავშვის ინტერესების გათვალისწინება გულისხმობს ყველა იმ რესურსებზე და შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობასაც, რომელიც პროგრამის გარეთ, თემში არსებობს. სკოლამდელი გა-

ნათლების სისტემის ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტი როლი ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამებისა და რეკომენდებული აქტივობების განსაზღვრას და ამ პროცესებში ორივე მშობლის ჩართვას, რაც ერთიანობაში ხელს უწყობს სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარებისთვის სრულფასოვანი გარემოს შექმნას.

სტანდარტის შესაბამისი მიმართულების ინდიკატორებში გარკვევით წერია, რომ საბავშვო ბაღის პერსონალს აქვს გარკვეული პასუხისმგებლობა, წაახალისოს მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ საბავშვო ბაღებსა და მის გარეთ მიმდინარე აქტივობებში.

კიდევ უფრო საინტერესოა შემდეგი ინდიკატორი, რომელშიც პირდაპირ არის გაწერილი, რომ აქტივობებში ჩართვის და მონაწილეობის შესაძლებლობა ორივე მშობელს აქვს. თეორიულად, აღნიშნული ინდიკატორი გენდერული კუთხით სურათის დაბალანსების შესაძლებლობას იძლევა. აღსანიშნავია, რომ ეს ერთადერთი ჩანაწერია, სადაც თავიდანვე დეკლარირებულია, რომ არა მხოლოდ დედის, არამედ მამის ჩართულობის აუცილებლობა იკვეთება, რაც ამსხვრევს სტერეოტიპულ მიდგომებს მამის მეორეხარისხოვან როლთან დაკავშირებით. ჩანაწერი **„ორივე მშობელს“ - უკვე მნიშვნელოვანი ხელჩასაჭიდი მასალაა გენდერული ზეგავლენის შესაფასებლად, რომელიც აღნიშნული დოკუმენტის განხორციელებას უნდა მოჰყვეს.**

კვლევის პროცესში გამოვლინდა, როგორ მუშაობს ოჯახთან თანამშრომლობის პრაქტიკა ღონისძიებების დაგეგმის პროცესში და რამდენად რელევანტურია სკოლამდელი აღზრდის პროგრამები. ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის მონაცემებით, რესპონდენტთა 57,3% აღნიშნავს, რომ მათი ჩართულობა მაქსიმალურია ბაღში მოწყობილ აქტივობებში. თვისებრივი მონაცემები აღწერს, რომ ძირითად შემთხვევაში მშობლების ჩართულობა დაგეგმილ ღონისძიებებში უკავშირდება ბავშვების მომ-

ზადებას ზეიმისთვის: მაგალითად, ფორმების შერჩევას და სხვა მოსამზადებელ სამუშაოებს. მართალია, პირდაპირ სტანდარტს არ უკავშირდება, მაგრამ ცალკეულმა მშობლებმა გამოკვეთეს გენდერულად სენსიტიური თემა, რომელიც სოციალურად მოწყვლადი ოჯახების საწუხარს უკავშირდება და ამ ღონისძიებებისთვის საჭირო ფინანსურ ხარჯებს ეხება, რომელზე გადაწყვეტილებას ერთეული მშობლების ინიციატივით მთლიანად ჯგუფი იღებს:

> ***„ზეიმის პროცესში ყველა მშობელი აქტიურია, არის საკითხები, რომელთაც განხილვა, შეთანხმება სჭირდება] ...[ამ ყველაფერს ახლავს ფინანსური ხარჯები და ასეთი ჩართულობის დროს მშობელთა დიდი ნაწილი დაძაბულია, რადგან ეს ხარჯები შემაწუხებელია“. - ე. ტ., 28 წლის, დედა.***

რაოდენობრივი კვლევა აჩვენებს, რომ სკოლამდელი დაწესებულების პერსონალთან თანამშრომლობის ხაზგასმა ბავშვის საჭიროებების განხილვაში ხდება მშობელთა 46,27%-ის მიერ. მიღებული მაჩვენებელი თავისი შინაარსით აშკარად პოზიტიურია და შესაბამის მოლოდინებსაც აღძრავს. მაგრამ რადგან კვლევა უფრო მეტად გულისხმობს დოკუმენტის პრაქტიკაში მუშაობას და გენდერული ზეგავლენების შეფასებას, ინტერესმოკლებული არ არის ჩაშლილი მონაცემების ნახვა, რომელიც სქესის ნიშნით სეგრეგირებული მაჩვენებლის ანალიზის შესაძლებლობას იძლევა. მიღებული მონაცემებით, აქტიურობის ყველა მონაკვეთში, იქნება შეხვედრებში ჩართულობა, პირისპირ, ინდივიდუალური შეხვედრები, სერვისების მოხმარება თუ სხვა, დედების ჩართულობა და მონაწილეობა მაქსიმალურად მაღალია - 91,43 %.

გენდერულად დაბალანსებული გარემოს შექმნა შესაძლებელია ორივე მშობლის ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლების დახმარებით, რადგან პოზიტიური გავლენების მიღწევა სხვა გზით და სხვა საშუალებებით შეუძლებელია. ციფრებში ასახული გენდერული დისბალანსი კვლევის ამ საკითხშიც ცალსახად წარმოა-

ჩენს ერთ-ერთ ყველაზე მთავარ გამოწვევას, მამების მინიმალურ ჩართულობას, რაც, საერთო ჯამში, თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნის პერსპექტივებს აბრკოლებს.

სტანდარტის ინდიკატორების თანახმად, საბავშვო დაწესებულების თანამშრომლები ვალდებულნი არიან, დანერგონ წამახალისებელი აქტივობები ჩართულობის გასაჯანსაღებლად, რათა მშობლების განსხვავებული შემოქმედებითი, კულტურული უნარების გამოყენებით მრავალფეროვანი გახადონ სასწავლო გარემო. მსგავსი შინაარსის პოზიტიური მაგალითები მრავლად დასახელდა ფოკუს-ჯგუფების დისკუსიებზე:

> ***„ბაღში „პიცის ცხობის“ დღეზე ვიყავი მოწვეული, პიცა უნდა გამომეცხო. ბავშვებისთვის ეს ყველაფერი ცოტა უჩვეულო იყო და საოცარი ინტერესით მიყურებდნენ. პროცესით ძალიან კმაყოფილები იყვნენ.“ - მ. დ., ბებია, 64 წლის. „ზღაპრების კითხვაში მივიღე მონაწილეობა. ჩემი შვილი ვერ ვიცანი, ისეთი ემოციები ჰქონდა“. - ქ. გ., 22 წლის, დედა.***

კვლევის რესპონდენტები თვლიან, რომ მხოლოდ ბაღების მხრიდან წამოსული ინიციატივები ვერ იქნება საკმარისი მშობლების ჩართულობის მაჩვენებლის გენდერული დისბალანსის გასანეიტრალებლად. ინიციატივები მშობლების, განსაკუთრებით მამების მხრიდან, გაზრდიდა ბავშვებზე პოზიტიური ზეგავლენის მაჩვენებელს.

> ***„ბავშვის სასწავლო პროცესების დაგეგმვასა და განხორციელებაში ოჯახის ყველა წევრი უნდა მონაწილეობდეს და თუ იქნება ბაღის მხრიდან მათი წახალისებაც, უფრო მეტ მამას ექნება მოტივაცია, ჩაერთოს ღონისძიებების დაგეგმვაში, რაიმე როლის შეთავსებაში. ეს გაამრავალფეროვნებდა პროცესს და, რაც მთავარია, ბავშვები იქნებოდნენ კმაყოფილები“. - მ. ქ., 34 წლის, მამა.***

მამების ჩართულობის კუთხით, კონკრეტული ისტორიები და პოზიტიური მაგალითები არსებულ მოცემულობას მთლიანობაში ვერ აბალანსებს, მაგრამ მამების ჩართულობის პრეცედენტების დამკვიდრებას ემსახურება და, რაც მთავარია, მკაფიოდ უჩვენებს პოზიტიურ გავლენებს და მიღებულ სარგებელს როგორც თავად მამებზე, ასევე მათ შვილებზე:

> ***„[აქტივობებში ჩართვამ] ჩემზე მოახდინა საოცარი გავლენა. ეს ემოცია ყველა მშობლისთვის საჭიროა. ვხვდები, რომ ეს საკმარისი არ არის, უფრო მეტი ყურადღებაა საჭირო მამების მხრიდან, მეტი დრო უნდა გამოინახოს სასწავლო პროცესში და საერთოდ ბაღის ცხოვრებაში მონაწილეობისათვის". - დ. გ., 30 წლის, მამა.***

რაოდენობრივი მონაცემები ცხადყოფს გამოკითხული რესპონდენტების საერთო განწყობას, რომლებიც მშობლების, მათ შორის მამების და სხვა კატეგორიის მშობლების ჩართულობის ხელის შემშლელ მიზეზებზე აპელირებენ. გამოკითხულთა 56,32% ადასტურებს, რომ სხვადასხვა კატეგორიის მშობლების, მათ შორის მამების, დასაქმებული მშობლების, სამუშაო გრაფიკის და სხვა სპეციფიკის გაუთვალისწინებლობა ხელს უშლის მათ მაღალ ჩართულობას.

ჩართულობის მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აფერხებს საზოგადოებაში გაბატონებული სტერეოტიპული მიდგომები მამების „მეორეხარისხოვან" როლთან დაკავშირებით - ასე მიაჩნია გამოკითხულთა 24,62%-ს.

მიზეზებს შორის სახელდება გადატვირთული ჯგუფები (41.62%). პროგრამის განხორციელების შესაბამისი სტრატეგიის არარსებობას ხელის შემშლელ ფაქტორად მიიჩნევს რესპონდენტთა 21,38%.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები თამამად საუბრობენ, რომ საგანმანათლებლო პროცესში და ბაღის გარეთ ღონისძიებებში თანამ-

შრომლობის გარეშე, პრაქტიკულად, სრულფასოვანი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის შექმნის შანსი ძალიან დაბალია:

> ***„მხოლოდ მშობლებთან ერთად, გაერთიანებული ძალისხმევით შეუძლიათ ბაღის მასწავლებლებს მიანიჭონ ბავშვებს დიდი ადამიანური ბედნიერება. თუ ამ კომპონენტიდან რომელიმე მოშვებულია, ეს მაშინვე დანაკლისის სახით აისახება ბავშვების სრულფასოვან განვითარებაზე". - მ. დ., 32 წლის, დედა.***

მიგნების სახით იკვეთება, რომ თუ მშობელთა ჩართულობა ბაღის შიგნით მიმდინარე აქტივობებში მხოლოდ ზეიმის დროს არის აქტიური და მაღალი, საპირისპირო სურათი ჩანს ბაღებს გარეთ ჩატარებულ ღონისძიებებში. ხშირად აქტივობებში დედებთან ერთად ერთვებიან ოჯახის დანარჩენი წევრებიც, ბებია, მამიდა.

> ***„ერთი აქტივობა ბაღის გარეთ დავგეგმეთ. ბავშვები წავიყვანეთ ბოტანიკურ ბაღში, ჩვენდა გასაკვირად, ყველა მშობელი, ოჯახის სხვა წევრი მოვიდა. ბავშვები საოცრად გამოიყურებოდნენ, ცდილობდნენ, მშობლების წინ უფრო თავდაჯერებულები ყოფილიყვნენ, თავი გამოეჩინათ". - ბ. ჯ., ბაღის პედაგოგი.***

ბაღის პედაგოგები, მშობლები აღნიშნავენ, რომ მამებს გარე აქტივობებში ჩართვის ინიციატივები უფრო მეტად აქვთ და თავსაც კარგად გრძნობენ.

> ***„ჩვენი ჯგუფი თოჯინების თეატრში უნდა წასულიყო. ჩემმა მეუღლემ მთხოვა, მე წავიყვან ბავშვსო. ცოტა მოულოდნელი იყო, ბაღში არასოდეს ყოფილა არც ერთ ზეიმზე. ისე მოეწონა, ასეთ აქტივობებზე არასოდეს არ ამბობს უარს". - მ. ჯ., 28 წლის, დედა.***

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს შედეგები ისევ და ისევ სტერეოტიპებს უკავშირდება და მამების დიდი ნაწილი გარე აქტივობებში ნაკლებად ხედავს მამაკაცისთვის „შეუფერებელ" როლს, მათი

კომფორტის ხარისხიც ამაზე მიანიშნებს. თვითონ კვლევის მონაწილე რესპონდენტებიც მიანიშნებენ, რომ აღნიშნული მიგნება თავისუფლად შეიძლება საბავშვო ბაღებმა აქტიურად გამოიყენონ მამების ჩართულობის გასაუმჯობესებლად, მეტი გარე აქტივობის დაგეგმვით.

გარდა ამისა, კვლევიდან მიღებული ინფორმაციები ადასტურებს, რომ ბაღის გარეთ არსებულ პროგრამებში მონაწილეობა მშობლებს აძლევს საკუთარი შესაძლებლობების სხვა კუთხით წარმოჩენის საშუალებას. სწორედ ასეთ არაფორმალურ შეხვედრებზე წარმოჩინდება ხოლმე, რომ რომელიღაც მშობელი მღერის, რომელიღაც ცეკვავს, ვიღაც კარგად კითხულობს. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანი მასალაა ბაღის პედაგოგისთვის, რომელსაც შეუძლია მშობლის რესურსის გამოყენება ბაღის მიერ ინიცირებულ აქტივობებში. ეს ორივე მშობელს თანაბრად ეხება, რადგან კვლევაში არსებობს პოზიტიური მაგალითები, როცა ბაღში დაგეგმილ ღონისძიებებში დედასთან ერთად მამა იყო მეზღაპრე, ბებია - კეთილი ჯადოქარი და ა.შ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც გარე შეხვედრებიდან იკვეთება, ის არის, რომ მშობლები უფრო კარგად ეცნობიან სააღმზრდელო დაწესებულების შიდა სამზარეულოს, აცნობიერებენ, რა მეთოდოლოგიური მასალები სჭირდებათ აღმზრდელებს, რა სირთულეები არსებობს ბავშვებთან მუშაობის პროცესში, შემდეგში მათი ჩართულობის ფორმები იცვლება და კარგად ერგებიან გარემოს, რადგან ეს გარემო მათ უკვე შესწავლილი აქვთ.

მიღებული მონაცემებით დასტურდება, რომ კერძო და სახელმწიფო ბაღებში მუშაობის განსხვავებული სტილია. კერძო ბაღის წარმომადგენლები გვიზიარებენ, რომ ისინი მუშაობენ დამოუკიდებლად და სახელმწიფო პროგრამებისგან განსხვავებული პროგრამებით ხელმძღვანელობენ. მხოლოდ კონკრეტული ხელმძღვანელი პირები ცდილობენ კურიკულუმების შექმნისას სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრულ ძირითად პრინციპებს არ გასცდნენ და მუშაობის სტილითაც ამ სტანდარტებს მიუახლოვდნენ.

ამ შემთხვევაში დამოუკიდებლობის მეტი ხარისხი განპირობებებულია მონიტორინგის მექანიზმის არარსებობით, ასევე ფინანსური დამოუკიდებლობით.

> ***„ჩვენ მუნიციპალიტეტისგან ფულს არ ვიღებთ, ამიტომ მეტი დამოუკიდებლობა გვაქვს, არ ვართ სხვაზე დამოკიდებული. სახელმწიფო სტანდარტებით ვსარგებლობთ, რა თქმა უნდა, მაგრამ მეტად დამოუკიდებლები ვართ გადაწყვეტილების მიღების პროცესში." - ლ. პ., კერძო ბაღის პედაგოგი.***

კიდევ ერთი გამოწვევა, რომელიც გენდერული კუთხით იკვეთება, კადრების კუთხით არსებული ერთფეროვნებაა. პედაგოგები, აღმზრდელები, სხვა პერსონალი, ერთეული გამონაკლისის გარდა - ქალია, ამიტომ სავარაუდოდ, სახელმწიფო ბაღებში სამოქმედო გეგმებსა და პროგრამების დაგეგმვის პერიოდში, ძირითადად, გათვალისწინებულია ქალთა ინტერესები, ხედვები. მსგავსი ტიპის გენდერული დისბალანსი არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მამებსა და დედებს. ამ საკითხს კვლევის მონაწილეები მნიშვნელოვან გამოწვევად მიიჩნევენ და მამების მხრიდან დაბალი ჩართულობის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებენ.

> ***„ქუთაისში, ბაღების პერსონალი ქალებითაა დაკომპლექტებული, ბაღის ხელმძღვანელებიც ქალები არიან, ყველა პროგრამას ქალები ადგენენ, ქალები ახორციელებენ და ამიტომ, ძირითადად, ქალების ინტერესებია მასში ასახული. მამაკაცები მეტი რომ იყოს ადმინისტრაციაში მაინც, ეს ხელს შეუწყობდა მამების მოზიდვას, მათ დაინტერესებას და ჩართვას საგანმანათლებლო და აღმზრდელობით პროგრამებში". - ქ. ც., 34 წლის, დედა.***

პოზიტიური პრაქტიკის მაგალითად სახელდება ის სკოლამდელი დაწესებულება, სადაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მამაკაცია. ერთ-ერთი ფოკუს-ჯგუფის დისკუსიაზე გამოიკვეთა ხედვა, რომ ამ დაწესებულებაში ბევრად მრავალფეროვანია მამების

აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობის ღონისძიებები და ნაკლებად იჩენს თავს მსგავსი ღონისძიებების ფრაგმენტულობა.

ბაღის საკონსულტაციო საბჭოების მაკოორდინირებელი ფუნქციის მნიშვნელობა მოცემულ საკითხთან მიმართებაშიც გამოიკვეთა: კერძო და სახელმწიფო ბაღების მმართველები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები ინტერვიუებში გულახდილად საუბრობენ საკონსულტაციო საბჭოების ფუნქციების გაფართოებაზე. მიაჩნიათ, რომ საბჭოს რესურსის გამოყენება შესაძლებელია სკოლამდელი დაწესებულებების და მის გარეთ გამართული აქტივობების პროგრამებში ორივე მშობლის ინტერესების გაერთიანებისა და ურთიერთთანამშრომლობის ფორმატის გაფართოებისთვის. ბ. კ., საჯარო ბაღის ფსიქოლოგი, მიუთითებს, რომ საბჭოს არ უნდა ჰქონდეს ფორმალური ხასიათი. აქ უნდა მოხდეს ყველა კატეგორიის მშობლის, ოჯახის წევრების ინტერესების თავმოყრა, მათი ხედვების გათვალისწინება.

ოჯახის და თემის მონაწილეობის კომპონენტის განხორციელების პოზიტიურ შედეგებს გენდერული ასპექტების გათვალისწინებით თუ შევხედავთ, იკვეთება, რომ ზოგჯერ წინაღობას წარმოადგენს ოჯახებში დაბალი გენდერული სენსიტიურობა. მშობლთა განათლება ხშირ შემთხვევაში არ არის თანხვედრაში მათ გენდერულ მგრძნობელობასთან. სტერეოტიპული მიდგომების სიმძაფრე ხელს უშლის მშობლების აღქმას, განსხვავებულად დაინახოს ბიჭის და გოგოს ინტერესები. ეს განსაკუთრებით ეხება ოჯახის უფროს წევრებს.

სტანდარტის პრინციპების პოზიტიური გენდერული ზეგავლენის მისაღწევად, ამ გამოწვევების საპასუხოდ მნიშვნელოვანი ამოცანაა ოჯახებთან მუშაობა, მშობლების (ორივე მშობლის, ოჯახის უფროსი წევრების) გენდერულ საკითხებზე ინფორმირება და გოგონების/ბიჭების საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინებისთვის შესაბამისი უნარებით აღჭურვა, რათა მოხდეს მაქსიმალური თანამშრომლობა ბაღის პერსონალსა და მშობლებს შორის დაწესებულებაში და მის გარეთ.

### 4.3. ოჯახის მხარდაჭერა ბავშვის მრავალმხრივი განვითარების საკითხში

ხარისხის სტანდარტის უმთავრესი ამოცანაა ბავშვის მრავალმხრივი განვითარების მიმართულებით სრულად შეინარჩუნოს ოჯახის მხარდაჭერა და ძალთა ერთობლიობით ხელი შეუწყოს სხვადასხვა აქტივობის დანერგვას.

სტანდარტის ოფიციალურ ჩანაწერს თუ გავყვებით, ინდიკატორში მკაფიოდ და გასაგებად იკითხება სააღმზრდელო დაწესებულების პასუხისმგებლობა, უზრუნველყონ მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება პროგრამის მიზნებსა და ამოცანებზე. ინდიკატორით ბავშვის განვითარების და პროგრესის განსახილველად წელიწადში მინიმუმ სამი შეხვედრაა განსაზღვრული. მშობლები ამ ინდივიდუალური შეხვედრების გაზრდის აუცილებლობას ცალსახად უჭერენ მხარს და ადასტურებენ, რომ შეხვედრების ინტენსიურობა ბავშვის საჭიროებებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

კვლევის მონაწილეები თანხმდებიან, რომ ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, მშობლებს დასაწყისშივე ჰქონდეთ ინფორმაცია ხარისხის სტანდარტზე, განსაზღვრონ საკუთარი როლი და მისია ჩართულობის, ინიციატივების თვალსაზრისით.

კვლევის მონაცემებით გამოიკვეთა, როგორ ხდება ბავშვის მრავალმხრივი განვითარების პროგრამებში მშობლების ჩართვა, რამდენად უწყობს დოკუმენტი ხელს მშობლებთან მჭიდრო თანამშრომლობას, ბავშვის სარგებელზე ორიენტირებული გარემოს შექმნას.

თვისებრივ მონაცემებს თუ მოვიშველიებთ, სტანდარტის დოკუმენტის არსებობა გამოკითხულმა მშობლებმა იციან, თუმცა მის შინაარსობრივ ნაწილს საკმაოდ ზერელედ იცნობენ. შესაბამისად, უჭირთ ისაუბრონ მშობლების მხარდაჭერისა და ჩართულობის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე.

*„დოკუმენტები ყველასთვის ხელმისაწვდომია, საინფორმაციო დაფაზე გაკრულია და ვისაც უნდა კითხულობს. ამ დოკუმენტებით მშობლებს რა ევალება და რა არა, ამაზე მიჭირს საუბარი“. - მ. გ., 25 წლის, დედა.*

თუ კვლევის დასაწყისში მიგნების სახით გამოჩნდა, რომ ხარისხის სტანდარტზე ინფორმირებულობით კერძო ბაღები ჩამორჩებოდნენ საჯაროს, იქიდან გამომდინარე, რომ კერძო ბაღების ავტორიზაცია ითხოვს სტანდარტთან მიახლოებული იყოს მათი საქმიანობა, კერძო ბაღების პერსონალის მხრიდან ხდება დოკუმენტის შესწავლა, რაც მათ ინფორმირებულობაზე აისახება. შესაბამისად, ინფორმაცია მართალია, უფრო ნაკლებად, ვიდრე საჯარო ბაღებში, მაგრამ აქვთ:

*„ავტორიზაციის საკითხი კერძო ბაღებისგან ითხოვს აღნიშნულ სტანდარტთან მიახლოებას, ამიტომ ამ მიზეზით სრულად ხდება დოკუმენტის შესწავლა და, რა თქმა უნდა, პერსონალის ინფორმირებულობაც გაზრდილია“. - ვ. ი., კერძო ბაღის პედაგოგი.*

თუ ფოკუს-ჯგუფებიდან მიღებულ მასალებს გავაანალიზებთ, კარგად ჩანს, რომ ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისთვის პროგრამების შემუშავების საკითხში ოჯახის მხარდაჭერა შედარებით სუსტია. სტანდარტის გავლენაც, შესაბამისად, ნეიტრალურია. აღნიშნული მიზეზი უკავშირდება ბაღებისა და დასაქმებული მშობლების სამუშაო გრაფიკის შეუსაბამობას, რაც მათ შორის კომუნიკაციის არხებს ბლოკავს და თანამშრომლობის რესურსს ამცირებს.

მათ სამუშაო გრაფიკთან ამგვარი შეუსაბამობა ხშირად ხდება ხოლმე მშობლების მხრიდან ბავშვების კერძო ბაღში გადაყვანის საფუძველი, რადგან გრაფიკი ბევრად ხელსაყრელია კერძო ბაღებში. თუმცა, პარალელურად, ოჯახს დამატებითი ფინანსური პასუხისმგებლობები ეზრდება. ასევე ნეგატიურად აისახება ბავ-

შვების ფსიქოლოგიაზე, ახალ გარემოსთან ადაპტაციის პროცესი თავიდან იწყება და ბავშვებისთვის დამატებითი სტრესის საფუძველი ხდება.

დასაქმებული მშობლების შემდგომ ყველაზე რთულ ვითარებაში არიან ემიგრანტი მშობლები, რომელთა ჩართულობისთვის, გარდა მესენჯერ-ჩათებისა, სხვა ალტერნატივები ნაკლებად გამოიყენება. ემიგრანტ მშობლებს არა აქვთ შესაძლებლობა, თვალი ადევნონ ბავშვის განვითარების ეტაპებს, დაეხმარონ მათ საჭიროების შემთხვევაში. გარდა ამისა, საკუთარი ჩართულობის მნიშვნელობაც დაინახონ საბავშვო სააღმზრდელო პროცესში ეფექტიანი მიდგომების დამკვიდრებაში. კვლევის მონაწილეთა მხრიდან ერთეული შემთხვევები სახელდება, როდესაც დისტანციურ რეჟიმში ჩატარებული კრების მონაწილე გამხდარა ემიგრანტი მშობელი. თუმცა, ერთეული შემთხვევები საერთო სურათს ვერ ცვლის.

შშმ/სსმ ბავშვის მშობელთან თანამშრომლობას ბავშვის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობისთვის ზოგჯერ მშობლების მხრიდან დაბალი გახსნილობა ხვდება წინაღობად. დოკუმენტის პრაქტიკული მოქმედების ყველა ეტაპზე ცალსახად იკვეთება მშობლების არასათანადო მზაობა, ისაუბრონ ბავშვების მდგომარეობაზე. ეს ყველაფერი ისევ ბავშვის სრულფასოვან აღზრდაზე აისახება ნეგატიურად და ხელის შემშლელ ბარიერად იქცევა მისი სრულყოფილი განვითარებისთვის აუცილებელი რესურსების მობილიზებაში.

ხარისხის სტანდარტის ინდიკატორში ვკითხულობთ, რომ პედაგოგი და აღმზრდელი სისტემატურად ახდენენ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას ბავშვზე დაკვირვებისა და მისი შეფასების შესახებ. მსგავსი ტიპის ურთიერთობები, ინფორმაციის გაცვლა პოზიტიურ დატვირთვას ატარებს, სრულად ორიენტირებულია ბავშვის ინტერესების, მისი მისწრაფებების რეალიზებაზე.

*„ყოფილა შემთხვევა, როცა დედამ არ იცოდა, რომ მისი ბავშვი საოცრად ხატავდა. სახლში მგავსი რამ არ შეუმჩნევია. იყო შემთხვევა, როცა ბაღში აღმოვაჩინეთ ბავშვის მუსიკალური მონაცემები და მშობელს ვთხოვეთ, მისი განვითარებისთვის ხელი შეეწყო. ის ბავშვი ახლა კონკურსების გამარჯვებულია. მშობელსაც უთქვამს ინფორმაციის სახით, რომ მისი შვილი აკეთებს ჰაროდიებს და მისი ეს შესაძლებლობა ბაღის ზეიმებში გამოვიყენეთ აქტიურად“. - ვ. კ., ბაღის აღმზრდელი.*

მსგავსი ფორმატით ინფორმაციის გაცვლის მუდმივ რეჟიმში ყოფნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შშმ და სსმ ბავშვის მშობლებთან. მოწყვლადობის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, ასეთი ბავშვის ფსიქოსომატური მდგომარეობა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს და მიდგომების კორექცია ინდივიდუალურ ჩანაწერებს უნდა დაექვემდებაროს. მშობლებისა და ბაღის საალმზრდელო მეთოდების ჰარმონიზებას შეუძლია თითოეულ ბავშვზე მაქსიმალურად ორიენტირებული გარემოს შექმნა.

მიგნების სახით იკვეთება სსმ მშობლებთან დაგეგმილი შეხვედრების დეფიციტი. სტანდარტის მიზნებიდან გამომდინარე, მშობლების მხარდაჭერა და პასუხისმგებლობა განსაზღვრულია, თუმცა კვლევის მონაწილე მშობლებს გაუჭირდათ ისეთი შეხვედრების გახსენება, სადაც მიიღეს ინფორმაციები ბავშვთა ასაკობრივი განვითარების, ქცევითი სირთულეების ან სხვა ასაკობრივად სახასიათო საკითხების შესახებ, რათა მოცემულ ჯგუფს გაუმარტივდეს საკუთარი შვილების ქცევის მართვა, ამასთან, მართვის მოდელის არჩევისას ბაღის მიდგომებთან ჰარმონიზაცია მოხდეს.

იკვეთება, რომ სსმ ბავშვის მშობელთა ინფორმირება მსგავსი ბავშვის მოვლის, ქცევის მართვის საკითხებზე არ არის სათანადო კომპეტენციის. ხშირ შემთხვევაში მშობლების დიდი ნაწილი ინტერნეტიდან მიღებულ ინფორმაციებს ეყრდნობა, ან ყველაზე

მეტად ენდობა სხვა ბავშვების მშობლებს და მათ გამოცდილებას. ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველა შესაძლებლობის და რესურსის თავმოყრა პოზიტიური ისტორიების გასამრავლებლად. კვლევის მონაცემებში ერთ-ერთი მშობელი საუბრობს, როგორ გახდა ის კონსულტანტი მეორე მშობლისთვის და როგორ აღმოჩნდა ურთიერთობის მსგავსი ფორმატი ბავშვისთვის სასარგებლო.

> ***„ჩემი შვილი აუტისტია, ჩართულია ყველა სახელმწიფო პროგრამაში და ყველა სერვისის მომხმარებელია. ჩემი ცხოვრება ისეა გადალაგებული, როგორც ჩემს შვილს სჭირდება. ჯგუფში ერთი გოგონა მოვიდა, ერთი შეხედვით ვერაფერს შეატყობდი, თუმცა მე ამ საქმეში საკმაოდ გამოცდილი ვარ და, რა თქმა უნდა, ეს არ გამომპარვია. დედასთან მივედი და ჩემი შვილის ისტორია მოვუყევი. სპეციალისტთან მიყვანა ვთხოვე. ბაღის პედაგოგებს გაუჭირდათ მასთან საუბარი. ახლოს არავინ მიიკარა. მე მაშინვე მენდო, ალბათ იმიტომ, რომ ერთნაირ მდგომარეობაში ვიყავით. ახლა მისი დიაგნოზის შესაბამისად მუშაობს და ბავშვსაც უკეთესობა ეტყობა“. - ზ. დ., სსმ ბავშვის დედა, 26 წლის.***

კვლევის მონაცემები ადასტურებს, რომ ზოგჯერ სპეციალური საჭიროების ბავშვებთან კომუნიკაციის სათანადო კომპეტენცია ბაღის პედაგოგებსაც არა აქვთ და უჭირთ სენსიტიურობა, ლავირება ამ კატეგორიის ბავშვებთან მუშაობისას. საჭიროებებიდან გამომდინარე, ზოგჯერ თავად მშობლები ირგებენ პარასპეციალისტების როლს.

> ***„ჩემი შვილის მასწავლებელი თავად ამბობდა, რომ ეს მისი პირველი შეხება იყო სასწავლო სივრცეში აუტისტური სპექტრის ბავშვთან. მე ვიყავი ცოდნის, ინფორმაციის, გამოცდილების გამცემი ამ პროცესში არა მხოლოდ მშობლებისთვის, ბაღის პედაგოგებისთვისაც“. - ფსიქოკონსულტანტი, სსმ ბავშვის დედა.***

კვლევის მონაცემები ადასტურებს, რომ ბაღში აქტიურად ზიარდება ფსიქოემოციური განვითარების ცენტრების შესახებ ინფორმაცია. ბავშვის განვითარებაში დაფიქსირებული ატიპური მიმდინარეობის იდენტიფიცირების შემთხვევებში ინფორმაცია მიეწოდება კონკრეტულ მშობლებს.

სააღმზრდელო პროცესში ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა. ინდივიდუალური საჭიროებების დადგენის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია რაოდენობრივად გადატვირთული ჯგუფები, სადაც ინდივიდუალური დაკვირვების პროცესი თითქმის გამორიცხულია.

> ***„სტანდარტის მიხედვით, 3,5 წლიდან ზემოთ გაწერილია თხუთმეტ ბავშვზე ერთი აღმზრდელი და ერთი დამხმარე. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ჯგუფებში 40-მდე ბავშვია რეგისტრირებული. ასეთ ვითარებაში მასწავლებელი გადადის ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე და პროგრამით გაწერილი აქტივობების კოლექტიურ შესრულებაზე. ამ პირობებში გამორიცხულია ინდივიდუალური დაკვირვების განხორციელება, ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების აღმოჩენა და შემდგომში მათი ინვიდუალური განვითარების ხელშეწყობა“. - მ. დ., ფსიქოთერაპევტი.***

აქვე იკვეთება განმავითარებელი სათამაშოების დეფიციტი სსმ/შშმ ბავშვებისთვის, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათი განვითარებისთვის.

კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ შედარებით სუსტია ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების და რეფერირების პროცესში ბაღებსა და მშობლებს შორის კომუნიკაცია. რეფერირების მექანიზმით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ფონზე, ძალიან მწირია ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე ბაღსა და სხვადასხვა ინსტიტუციას შორის თანამშრომლობის მაგალითები. ფრაგმენტულია მშობელთა პედაგო-

გიზაციის ღონისძიებები. ამაზე მიანიშნებენ ბავშვთა უფლებების დამცველები.

> ***„[სკოლამდელი დაწესებულების] პასუხისმგებლობა მოიაზრებს რეფერირების პროცესიდან გამომდინარე, ბავშვზე ძალადობის ან სხვა ტიპის საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, სხვადასხვა ინსტიტუციის ჩართვას, სერვისების შეთავაზებას, პოზიტიური მშობლობის მაქსიმალურ ხელშეწყობას". - ა. ჩ., ბავშვთა უფლებადამცველი, ადვოკატი.***

ბავშვთა უფლებების დაცვის და არაძალადობრივი გარემოს შექმნის აუცილებელ გარანტიებს იძლევა ფსიქოლოგის სამსახური საბავშვო ბაღებში. პირისპირ ინტერვიუებში თვითონ ფსიქოლოგები საუბრობენ ფსიქოლოგის როლის გაძლიერებაზე ძალადობის პრევენციისა და რეფერირების პროცესში, რომლის ათვლის წერტილი სწორედ საბავშვო ბაღია.

გრძელვადიან პერსპექტივაში გენდერულად დაბალანსებული, თანასწორუფლებიანი საზოგადოების შექმნის წინაპირობას სწორედ სააღმზრდელო დაწესებულებები წარმოადგენენ. კვლევის რესპონდენტები მიანიშნებენ, რომ ბაღების სისტემა საკმაოდ დიდი ინსტიტუციაა, ბევრ ბავშვს ფარავს და პედაგოგს, სწორი ხედვებითა და უნარებით აღჭურვის შემთხვევაში, შეუძლია გარდამტეხი როლი შეასრულოს ბავშვის ცხოვრებაში. ფსიქოლოგის არარსებობის დროს მნიშვნელოვანია ბაღის პედაგოგების და მშობლების დატრენინგება, მათი გენდერული კომპეტენციების ამაღლების და სენსიტიური უნარების გაძლიერების მიზნით.

> ***„იმ ფონზე, როცა ფსიქოლოგის ინსტიტუტის დანერგვა ბაღებში ჯერ კიდევ გამოწვევაა, პედაგოგების მომზადება და მათი კომპეტენციის გაზრდა ამ გამოწვევას მეტ-ნაკლებად დაუბალანსებს და ბავშვზე ორიენტირებული ფსიქოსოციალური გარემოს შექმნას დაეხმარება". - ფ. ლ., ფსიქოლოგი.***

საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფილად წარმართვის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საგანმანათლებლო პერსონალის საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვაა, რადგან მხოლოდ კვალიციფიურ კადრებს შეუძლიათ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა და წინასწარ განსაზღვრული შედეგების მიღწევა. მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულ პედაგოგთა კვალიფიკაციის დონე. ეს საკითხი უფრო მწვავედ დგას კერძო ბაღებში.

კერძო ბაღებში დასაქმებული აღმზრდელი პედაგოგების მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს გავლილი ტრენინგები სტანდარტის მიმართულებით. უმეტესობას არ გაუვლია არანაირი პროფესიული გადამზადების კურსები და ტრენინგები ისეთ თემებზე, როგორებიცაა: განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობა, რთული ქცევის მართვა, ბავშვთა მიმართ ძალადობა, გენდერი, ბავშვის განვითარების სფეროები და ზოგადი თემატური მიმართულებები.

კვლევის მონაწილეები საუბრობენ საბავშვო ბაღებსა და აღსაზრდელთა ოჯახებს შორის ურთიერთობის მოძველებული, ტრადიციული ფორმების არაეფექტიანობაზე. კვლევის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ საჭიროა ურთიერთობის ახალი, ინოვაციური მეთოდები. უპირატესობას ანიჭებენ ღია საუბრებს და კონსტრუქციულ პოლემიკას, უკუკავშირის სისტემას; პრეზენტაციების, ფოტოკოლაჟების და ვიდეორგოლების სახით ინფორმაციის მიწოდების ფორმატს.

### 4.4. ოჯახის და თემის მონაწილეობის ცნობადობა და თანამშრომლობის მთავარი ასპექტები

კვლევის მოცემული მიმართულება მიზნად ისახავს ადრეული და სკოლამდელი განათლების სტანდარტის იმპლემენტაციის შესწავლას თემის ჩართულობის კომპონენტში, ვინაიდან ბავშვის ინტერესებზე და განათლებაზე ორიენტირებული გარემო თავის-

თავში გულისხმობს თემში არსებული, ბავშვთა საჭიროებებზე, ინტერესებზე მიმართული ყველა რესურსის თავმოყრას და აღსაზრდელების სასიკეთოდ ბაღის სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში გამოყენებას.

სტანდარტის დოკუმენტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბავშვო დაწესებულებების თემთან ურთიერთობის საკითხს. სტანდარტის ინდიკატორებში მკაფიოდ არის გაწერილი ბაღების პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება, უზრუნველყონ თემთან კომუნიკაცია, გამოიყენონ მათი რესურსები და ამით ხელი შეუწყონ ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვების სრულფასოვან აღზრდასა და განათლებას.

ინდიკატორის თანახმად, ბაღის პერსონალი უნდა ფლობდეს ინფორმაციას თემში არსებული სერვისების შესახებ და უზიარებდეს მათ ოჯახებს. ბაღებს აქვთ თემისა და ოჯახების დამაკავშირებელი ფუნქცია და ეს ყველაფერი ერთიანობაში მიმართულია იქითკენ, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღოს ბავშვმა, ოჯახმა. შესაბამისად - მოხდეს სკოლამდელი ასაკის პატარებზე მიმართული სერვისების მეტად დახვეწა და გამრავალფეროვნება.

კვლევის მასალებიდან იკვეთება, როგორ მუშაობს დოკუმენტი აღნიშნული მიზნის მისაღწევად; რა გამოწვევები იკვეთება თანამშრომლობის ეფექტიანობის თვალსაზრისით: ზოგჯერ სკოლამდელი დაწესებულებების მიერ სრულფასოვნად არ არის შესწავლილი თემში არსებული სერვისები. თანამშრომლებს არ აქვთ დეტალური ინფორმაცია თემში მოქმედ კულტურულ, საგანმანათლებლო განმავითარებელ პროგრამებსა და სოციალურ სერვისებზე. ბავშვთა საგანმანათლებლო-კულტურული პროგრამებიდან ბაღში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს თოჯინების თეატრი. უფრო ნაკლებად, თუმცა მაინც არის ერთეული შემთხვევები, როცა ბაღის ინიცირებით ხდება მუზეუმში კოლექტიური გასვლები. ასევე, არსებობს ბოტანიკურ ბაღში აქ-

ტივობის დაგეგმვის და ჩატარების პრაქტიკა. მისასალმებელია სხვადასხვა სოციალური გარემოს, პროფესიების გაცნობის ინიციატივები.

თემში არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტულ-გამაჯანსაღებელ სერვისებზე ინფორმაცია, მშობლებთან თანამშრომლობა ამ სერვისებით სარგებლობისთვის და სოციალური პარტნიორობის სისტემის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია სტანდარტით განსაზღვრული ამოცანების მისაღწევად. ეს აღსაზრდელებს ეხმარება სოციალურ გარემოში ადაპტაციაში, ხელს უწყობს მშობლებსა და ბაღის პერსონალს შორის პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

მიგნების სახით იკვეთება პოზიტიური ზეგავლენა ბავშვების ფსიქოემოციურ განწყობაზე.

> ***„ბავშვები უფრო თამამები და თავისუფლები ხდებიან. მათი ხასიათი მშვიდი და გაწონასწორებული ხდება. საკუთარ სოციალურ შესაძლებლობებს თავისი ნებით უკეთებენ დემონსტრირებას“. - ე. მ., სკოლამდელი დაწესებულების ხელმძღვანელი.***

ახალი მიდგომებით ძალიან ბევრი სკოლამდელი დაწესებულება ცდილობს, დაეხმაროს ბავშვს სოციალურ გარემოში ადაპტაციაში და ეს ხდება მშობლებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

კვლევის მოცემული მიმართულების განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს თემში არსებული სოციალური სერვისები, რომლებიც მიმართულია შშმ და სსმ ბავშვებზე. ფოკუს-ჯგუფებსა და სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოიკვეთა, როგორ ხორციელდება სტანდარტის დოკუმენტის ინდიკატორებით განსაზღვრული თანამშრომლობა სათემო პროვაიდერ ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ ბავშვთა ადრეული განვითარების მიმართულებით, სადაც ჩართულია საბავშვო ბაღის აღსაზრდელი შშმ და სსმ ბავშვების დიდი ნაწილი.

ფოკუს-ჯგუფის დისკუსიებში სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე თერაპევტებმა (ქცევის, მეტყველების, ოკუპაციური თერაპევტი) განსაკუთრებული აქცენტები გააკეთეს იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რასაც მშობლებთან ეფექტური თანამშრომლობის გზით აღწევენ, ან ვერ აღწევენ სხვადასხვა დარღვევის მქონე ბავშვებთან მუშაობის დროს. მათი მყარი რწმენით, აქ ბაღს ეკისრება მნიშვნელოვანი მაკოორდინირებელი როლი, რათა დაეხმაროს მშობელს და იყოს მისი პარტნიორი ბავშვისთვის სერვისის მაქსიმალური შედეგის მისაღწევად, რადგან პროგრამას ეფექტი აქვს, როცა მშობელი აგრძელებს იგივე მიდგომებით მუშაობას სახლში, ოჯახის სხვა წევრებთან ერთად.

> ***„ვინაიდან ჩვენ ვმუშაობთ შშმ ბავშვებთან, თერაპევტის მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რა კურსით და როგორ მუშაობს, მაგრამ აქ გატარებული ერთი და ორი საათი არ გამოიღებს შედეგს, თუ არ მოხდა მშობლის მხრიდან ამის განზოგადება. შესაბამისად, ამ სპეციფიკიდან გამომდინარე, მშობლისა და ოჯახის, სკოლამდელი დაწესებულების ჩართულობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს პირდაპირპროპორციულია იმასთან, თუ რა შედეგზე გადის ბავშვი“. - კ. ყ., ქცევის თერაპევტი.***

ბაღს შეუძლია მოახდინოს გავლენა იმ პრობლემაზე, როცა ბავშვის გარშემო მიმდინარე პროცესებში ჩართულნი არიან დედები და მამები, ძირითადად, პასიურობენ და ნაკლებად ერთვებიან ბავშვთან მუშაობაში.

ქცევის თერაპევტები მიიჩნევენ, რომ მამებისთვის ასეთი ბავშვების მშობლობა დიდი გამოწვევაა. როდესაც აცნობიერებენ, რომ მათ შვილს სჭირდება ამა თუ იმ სახის დახმარება და მისი განვითარება არ მიდის ასაკის შესაბამისად, საკუთარი როლის გაცნობიერება ურთულდებათ. თითქოს დაბნეულები არიან და საკუთარ მისიას ვერ აცნობიერებენ. სპეციალისტები წუხილით აღნიშნავენ, რომ

*„დედებიც ხელს უწყობენ მათ ასეთ მდგომარეობას. ერთ-ერთი დედა მიყვებოდა, რომ მამას არ შეუძლია, მისი შვილის მდგომარეობას დიდხანს უყუროს, ამიტომ ყველაფერი საკუთარ თავზე ჰქონდა აღებული. ეს სერიოზული საკითხია, ამაზე საშუშაოა“. - თ. ბ., მეტყველების თერაპევტი.*

კვლევის მასალებით იკვეთება, რომ, თანამშრომლობის მიუხედავად, არის ინტენსიური კომუნიკაციის პრობლემა საბავშვო ბაღსა და თემებში არსებულ განვითარების ცენტრებს შორის. ურთიერთობის ის ფორმატი, რაც ამჟამად არსებობს, არასაკმარისია იმისთვის, რომ სწორად იყოს მიწოდებული ყველა საჭირო ინფორმაცია ადრეული განვითარების სერვისების შესახებ ბაღებსა და ბაღის აღსაზრდელთა მშობლებზე.

ფოკუს-ჯგუფის დისკუსიების მონაწილეები საუბრობენ, რომ სიტუაციის დასაბალანსებლად კარგი იქნებოდა ბაღებსა და ცენტრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების, ერთიანი გაიდლაინების და გაწერილი პროტოკოლების არსებობა, სადაც ყველა ურთიერთობა ოფიციალურად იქნება დაკანონებული და არ იქნება პერსონალის კეთილ ნებაზე დამოკიდებული.

მშობლებთან, სპეციალისტებთან კომუნიკაციისას გამოიკვეთა მიგნებები სსმ და შშმ ბავშვებისთვის სერვისების ხელმისაწვდომობის საკითხთან დაკავშირებით, რამდენად ეფექტიანია ბაღის და სერვის-პროვაიდერების, მშობლების თანამშრომლობის პრაქტიკა და რა სახის გამოწვევები არსებობს ამ მიმართულებით. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ადასტურებენ, რომ თანამშრომლობა და კოორდინაცია გამართულია. მსგავს მოწყვლად ჯგუფებთან აქტიურად მუშაობს მულტიგუნდი: სპეცმასწავლებელი, ფსიქოლოგი, თერაპევტები. ყველა ბავშვის ინდივიდუალური მდგომარეობა შესწავლილია ცენტრის ფსიქოლოგთან ერთად და მათთან შეთანხმებით, ბავშვის საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით ხდება ყველა ინტერვენცია.

*„იყო შემთხვევა, როცა ბავშვს უჭირდა საუბარი და მშობელმა არ იცოდა, რომ ჩვენ გვყავდა ლოგოპედი. ავუხსენით, რომ ლოგოპედს აქვს სპეციალური ლიტერატურა და სავარჯიშოები. ძალიან გაუხარდა და თანამშრომლობაზე დაგვთანხმდა. ახლა ბავშვთან მუშაობენ ლოგოპედი და ფსიქოლოგი, შედეგებზე სისტემატიურად ვსაუბრობთ მშობელთან და ვუთანხმებთ". - ლ. ჯ., საჯარო ბაღის აღმზრდელი.*

სერვისების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ერთგვარად დაბალანსებული სიტუაციის მიუხედავად, ხელის შემშლელი ფაქტორები მაინც არსებობს. ერთ-ერთია მშობელთა მხრიდან პრობლემისგან „ხელოვნური" გამიჯვნა, როცა მშობელი ისმენს ინფორმაციას არსებულ სერვისებზე, მაგრამ სათანადოდ ვერ აფასებს საბავშვო ბაღის ჩართულობას პროცესში და ამ ინფორმაციის უგულებელყოფა ხდება, რაც სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობას ზღუდავს.

იშვიათად, მაგრამ სერვისების ხელმისაწვდომობას აფერხებს ზოგიერთი სააღმზრდელო დაწესებულების მხრიდან არასაკმარისი ინფორმირებულობა თემში არსებული ბავშვთა განვითარების ცენტრების შესახებ. ამ დროს ინფორმაციის გავრცელების წყარო ხშირად სწორედ შშმ ბავშვის მშობელი ხდება.

*„ბაღებმა ზოგჯერ არც იციან ამ ცენტრების შესახებ. სხვა მშობლები ხშირად მეკითხებიან ხოლმე, თუ რომელ ცენტრში დამყავს ბავშვი. შემიძლია ვთქვა, რომ, სამწუხაროდ, ბაღის მხრიდან არ ხდება მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდება. კარგი იქნებოდა, საინფორმაციო ბუკლეტები რომ ყოფილიყო, რაც მშობელს თავად დაეხმარებოდა ნიშნების ამოცნობაში". - თ. დ., სსმ ბავშვის დედა, 34 წლის.*

მშობლების აზრით, მნიშვნელოვანია შეხვედრები ცენტრების ხელმძღვანელობასთან. ამის ორგანიზებას ბაღები უნდა ახდენდნენ. მათგან მიღებული პირველადი ინფორმაცია ძალიან მნიშ-

ვნელოვანია შშმ ბავშვების ოჯახებისთვის. მათი აზრით, ინფორმაციის ასეთ გაცვლას სულ სხვანაირი ეფექტი აქვს.

საინტერესოა ადრეული განვითარების ცენტრის წარმომადგენლის შეხედულება იმაზე, თუ რა უშლის ხელს ბაღების მხრიდან ინფორმაციის გავრცელებას. ის არასაკმარისი კოორდინაციის პრაქტიკაზეც საუბრობს და კერძო ბაღებით მოსარგებლეთათვის ვიწრო სპეციალისტების მოსახურების ნაკლებ ხელმისაწვდომობასაც ეხება:

> ***„რამდენიმე მიზეზი უნდა გამოვყოთ: ერთი ის, რომ მშობლები არ იჯერებენ და არ იღებენ ამ ინფორმაციას. უბრალოდ არ გრძნობენ ვალდებულებას, მინიმუმ, გადაამოწმონ ეს ინფორმაცია. მეორე ფაქტორი არის ის, რომ თავად ბაღი არის ინფორმაციულ ვაკუუმში და არა აქვს ინფორმაცია ქალაქში მოქმედ ცენტრებზე. ეს არის უფრო სისტემური პრობლემა. თან აქვეა სპეცმასწავლებლების ფაქტორიც, საჯარო ბაღებს ჰყავს კადრები, ხოლო კერძოს არა აქვს ეს ვალდებულება და მხოლოდ მასზე და მის რესურსზეა დამოკიდებული, რამდენად ეყოლება სპეცმასწავლებელი“. - ხ. გ., ადრეული განვითარების ექსპერტი.***

ამ თემაზე დისკუსიებისას ასევე გამოიკვეთა ხედვა, რომ მსგავსი ტიპის გამოწვევების დაბალანსება მარტივი იქნებოდა საკონსულტაციო საბჭოების აქტიური ჩართულობით, რომელსაც თავისუფლად შეუძლია, ინფორმაციის გამტარის როლი შეასრულოს მშობლებსა და ბაღებს შორის და შესაბამისი სარგებელი მიიღოს ბავშვმა.

თემში არსებული რესურსების საკითხზე დისკუსიებზე გამოიკვეთა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ეხება ბავშვთა უფლებების საკითხებზე მშობელთა ცნობიერების ამაღლებას. სიღრმისეულ ინტერვიუებში ჩართული ექსპერტები მიუთითებენ, რომ უნივერსიტეტში არსებულ ბავშვთა უფლებების ცენტრში წელიწადში რამდენჯერმე ტარდება შეხვედრა

მშობლებთან პოზიტიურ მშობლობაზე, ბავშვთა უფლებებსა და ბულინგზე, მაგრამ მაინც არ არის ეს შეხვედრები საკმარისი მშობელთა უკეთესი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. შესამუშავებელია გეგმა, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ მიმართულებით უკეთესი კომუნიკაციის დამყარება და ცნობიერების ამაღლება, ვინაიდან ჯერ კიდევ არსებული სტერეოტიპები ხელს უშლის მშობლებს, იყვნენ პოზიტიური და მხარდამჭერი მშობლები.

კვლევაში იკვეთება სკოლამდელ დაწესებულებებსა და მერიის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას შორის უფრო მჭიდრო კომუნიკაციის საჭიროება, რათა მოხდეს ბაღების მხრიდან ამ სტრუქტურის რესურსის სრულფასოვანი გამოყენება.

სიღრმისეული ინტერვიუ აღნიშნული განყოფილების წარმომადგენელთან ადასტურებს, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე არ ყოფილა ბაღების მხრიდან მომართვიანობის არც ერთი შემთხვევა. იკვეთება, რომ არ იყო თანამშრომლობის პრაქტიკის ინიცირების პრეცედენტი ბავშვთა უფლებების განყოფილების მხრიდანაც. არ ჩატარებულა არანაირი ფორმატის საინფორმაციო შეხვედრა, თუნდაც ინფორმაციის მიწოდების და ბავშვთა მხარდაჭერის განყოფილების მუშაობის სპეციფიკის გაცნობის საკითხზე. თუმცა ორივე მხარე აღიარებს თანამშრომლობის და კომუნიკაციის პრაქტიკის გააქტიურების აუცილებლობას.

კვლევა კარგად წარმოაჩენს ბაღების, შშმ/სსმ მშობლებისა და ბავშვის მხარდამჭერი სერვისების სპეციალისტებთან თანამშრომლობის პროცესში გამოვლენილ სხვადასხვა საჭიროებას: იკვეთება, რომ აუცილებელია შშმ/სსმ მშობლების მხარდაჭერა, რადგან მშობლებსაც აუცილებლად სჭირდებათ ფსიქოემოციური დახმარება, საჭირო ინფორმაციით აღჭურვა. ვინაიდან სხვადასხვა დარღვევის მქონე ბავშვებთან კომუნიკაცია განსაკუთრებულ სიფაქიზეს მოითხოვს, ასეთ მშობელს დიდი ძალისხმევა

სჭირდება არა მხოლოდ ბავშვთან მუშაობის პროცესში, არამედ სოციუმში თავისი როლის აღიარებისთვის. არაერთხელ გაჟღერდა, რომ ამ კუთხით განსაკუთრებით მოწყვლადი არიან მამები. ისინი არათუ ინიციატივას არ იჩენენ, არამედ ცდილობენ, თავი აარიდონ ბავშვის საჭიროებებზე საუბარს პედაგოგებთან და აღმზრდელებთან. ამას ერთვის არსებული დაბალი სოციალური ფონი და ეკონომიკური სიდუხჭირე, რაც ნეგატიურად აისახება მშობლებზე, ზოგადად, სოციალური პარტნიორობის სისტემაზე ბაღს, ოჯახს, თემს შორის.

კვლევის შედეგებით გამოიკვეთა, რომ გამოწვევად რჩება ბაღებში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის საკითხიც, რომლებმაც ძალიან ხშირად არ იციან, როგორ იმუშაონ რთული ქცევის ბავშვებთან. უჭირთ კოორდინაციის უზრუნველყოფა ოჯახებს, სათემო სერვისებს, ბაღს შორის, რასაც ითვალისწინებს „სტანდარტი“.

> ***„მე ვფიქრობ, რომ ბაღებში უნდა იყვნენ კვალიფიციური სპეციალისტები, არა ეგრეთწოდებული „სპეცმასწავლებლები“, რომლებიც დასაქმებულნი არიან ბაღში. მათ კარგად უნდა ესმოდეთ, რა არის ქცევითი ანალიზი, უნდა ჰქონდეთ გავლილი ABA თერაპიის კურსი, რათა აღიქვან ამ ბავშვების საჭიროებები და სწორად მართონ ქცევა“. - თ. კ., ქცევის თერაპევტი.***

კვლევის მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ბაღების მხრიდან არ ყოფილა არცერთი ინიციატივა მშობლების და სერვის-პროვაიდერების შეხვედრის თაობაზე. თუმცა, ყველა თანხმდება ასეთი ტიპის შეხვედრების აუცილებლობაზე. მსგავსი ფორმატის ურთიერთთანამშრომლობის დეფიციტი კი ნეგატიურად აისახება ბავშვის განვითარებაზე.

მშობლებთან, თემთან მუშაობის სეგმენტში რესპონდენტები გამოყოფენ მულტიგუნდური მუშაობის პოზიტიური პრაქტიკების შედეგებს, სხვა ბაღების გამოცდილების შესწავლას, რომელსაც თავად ბაღის ფსიქოლოგები და სოცმუშაკები ნერგავენ:

*„ჩვენს ბაღში 28 სსმ ბავშვია. კარგად, კონსოლიდირებულად მუშაობს მულტიდისციპლინარული გუნდი სხვადასხვა კატეგორიის ბავშვებთან და მათ მშობლებთან. გვაქვს ჩვენი სამუშაო გეგმები, რომელთაც ვაცნობთ მშობლებს სემინარებზე და კრებებზე, ვცდილობთ მათთვის შევქმნათ ინდივიდუალური სასწავლო პროგრამები. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. გვაინტერესებს სხვა ბაღების გამოცდილება. განსაკუთრებით აუტისტურ ბავშვებთან მუშაობის მიმართულებით, რომლებსაც სჭირდებათ სპეციფიკური დამატებითი დახმარება“. - ნ. დ., სოცმუშაკი, საჯარო ბაღი.*

მიგნების სახით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი - სამედიცინო პერსონალთან სუსტი კომუნიკაციის პრობლემა იკვეთება. ბაღებს არა აქვთ მჭიდრო კომუნიკაცია მედიცინის მუშაკებთან, ამიტომ ვერ ფლობენ სრულფასოვან ინფორმაციებს ბავშვის ფსოქოსომატური მდგომარეობის შესახებ. კვლევის მონაცემებიდან იკვეთება, რომ ბავშვისთვის სრულფასოვანი, უსაფრთხო გარემოს შექმნაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამედიცინო სეგმენტის ჩართულობა. პედიატრები გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების რიცხვმა დინამიკაში ძალიან მოიმატა და ცენტრებთან ბაღების მჭიდრო თანამშრომლობა და პედიატრის დროული რეკომენდაციის გათვალისწინება მისცემს ბავშვს საშუალებას, ადრეულ ასაკში ნაწილობრივ მაინც მოუგვარდეს ან შეუმსუბუქდეს პრობლემები. ისინი სკოლამდელი აღზრდის პროცესის არსებით ნაწილად მიიჩნევენ სამედიცინო პერსონალის შეხვედრების გამართვას ბაღებში, რომელსაც თავისი შინაარსით სხვადასხვა დაავადებათა პრევენციის ფუნქციაც ექნება. ასევე, სწორ მიმართულებას მისცემს ბავშვების საჭიროებების მართვის პროცესს.

*„ჯანმრთელობა განიმარტება, როგორც ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობა და არა რაიმე დაავადების არსებობა ან არარსებობა. შეიძლება ადამიანს არ აწუხებდეს არაფერი, მაგრამ ის არ ჩაითვალოს ჯანმრთელად, ეს ეხება ბავშვებსაც. მით უმეტეს, დღევანდელ სტრესულ გარემოში პრევენციის მატარებელი საინფორმაციო შეხვედრები ძალიან საჭიროა“. - ც. ჰ., პედიატრი/ოჯახის ექიმი.*

სპეციალისტების აზრით, განსაკუთრებული საჭიროებების სტატუსის მქონე ბავშვებთან მუშაობა ბევრად გამარტივებულია, თუ ბავშვს მოყვება დიაგნოზი. პრობლემას წარმოადგენს არაიდენტიფიცირებული, ე.წ. „უსაბუთო“ ბავშვების საკითხი. რომლებსაც დიაგნოზი ჯერ კიდევ დაუდგენელი აქვთ. ასეთი ბავშვების უმრავლესობა სერვისების გარეშეა და ამ პროცესს მშობლებიც „ხელს უწყობენ“.

მშობელთა ჩართულობა კიდევ უფრო სიღრმისეულ გამოწვევებს ააშკარავებს გენდერული კუთხით. შშმ/სსმ ბავშვების მამები ავტომატურად „დედას მიკუთვნებულ“ საქმედ თვლიან ასეთ ბავშვებზე ზრუნვას. ამ საკითხზე საუბარს გაურბიან და ძირითად პასუხისმგებლობას ისევ დედები იღებენ.

*„დედები არიან ბაღებში, დედები არიან ცენტრებში, დედები არიან ყველა ღონისძიებაზე. მამები თითქოს არ არსებობენ. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ დედებსაც ეს ნორმა ჰგონიათ, არავინ აპროტესტებს, არავინ გამოთქვამს უკმაყოფილებას“. - ს. ა., ბაღის პედაგოგი.*

მოლოდინი, რომ ბაღი შეიძლება იყოს სათემო სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელების პირველწყარო ათასობით ოჯახისთვის, ცხადია, განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: ბაგა-ბაღების დაფინანსება და მართვა მუნიციპალიტეტის კომპეტენციაა და ამდენად, მუნიციპალური ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამების და მომსახურებების შესახებ ინფორმაციაც მალე მიდის ბაღის ადმინისტრაციამდე, რაც ინფორმაციის გავრცელების ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდის.

ბაღის მმართველები და სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ ბოლო პერიოდში სტატისტიკურად მომრავლდა „დისფუნქციური ოჯახების“ რაოდენობა. დაბალი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, ისინი ვერ უმკლავდებიან მათთვის დაკისრებულ ფუნქციებს, მნიშვნელოვნად მცირდება მათი ადაპტაციური შესაძლებლობები, ბავშვის ოჯახური აღზრდის პროცესი არასათანადოდ მიმდინარეობს. ამ ტიპის ოჯახი მმართველებისგან და აღმზრდელი მასწავლებლისგან აქტიურ და გრძელვადიან მხარდაჭერას მოითხოვს:

> ***„ოჯახი, რომელსაც უამრავი სოციალური პრობლემა აქვს და მხოლოდ იმაზეა ორიენტირებული, ბავშვები როგორ გამოკვებოს, ვერანაირად ვერ მოახდენს საკუთარი რესურსების მობილიზებას და ბავშვისთვის ფსიქოლოგიური გარემოს გაუმჯობესებაზე ვერ იქნება ორიენტირებული. პირიქით, ასეთი მშობლები ყოველთვის საჭიროებენ მხარდაჭერას, გაძლიერებას“. - ვ. გ., ბაღის ფსიქოლოგი.***

კვლევის რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ თანამშრომლობის პროცესში გარე აქტივობებში თემთან ერთად, ბიზნეს სექტორიც უნდა იყოს ჩართული. ბავშვისთვის ხელსაყრელი და მასზე ორიენტირებული სერვისების შექმნა ბიზნეს-პროვაიდერების, მშობლების, ბაღების ურთიერთთანამშრომლობის პროცესს უნდა ეფუძნებოდეს:

> ***„გარე სერვისების შესწავლისას აღმოვაჩენთ, რომ სახელმწიფო პროგრამების პარალელურად მუშაობს კერძო კომპანიები, კერძო ფსიქოლოგები, პარასპეციალისტები, რომელთა მომსახურება ფასიანია. რა თქმა უნდა, ამ სერვისებსაც ჰყავს მისი მომხმარებელი. პრობლემა ის არის, რომ ჩვენ, ბაღებს არა გვაქვს ინფორმაცია, რა ხარისხის არის მათი სერვისი და რამდენად ეფექტიანია, ამიტომ გვიჭირს რეკომენდაციების გაწევა. თანამშრომლობა რომ გვქონდეს, მეტი გვეცოდინებოდა და ამ ინფორმაციებსაც უფრო თამამად გავავრცელებდით, უფრო გაბედულად გადავამისამართებდით“. - ც. გ., ბაღის ფსიქოლოგი.***

კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია საუბარი ოჯახის და თემის მონაწილეობის პროგრამის პოზიტიურ ზეგავლენაზე და ბენეფიციარებისთვის მიღებულ სარგებელზე. ჩვენს შემთხვევაში კვლევის მთავარი ფოკუსი ხარისხის სტანდარტის მუშაობით ბავშვზე განხორციელებული გენდერული ზეგავლენისა და სარგებლის შეფასებაა, რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია ამ სარგებლის ხარისხის განსაზღვრა.

კითხვაზე, რა გავლენას ახდენს ბაღის პროგრამებში მშობლის აქტიური მონაწილეობა პატარებზე - გამოკითხულთა 74,19% აფიქსირებს პასუხს, რომ ბავშვებისთვის, გოგონებისთვისაც და ბიჭებისთვისაც - ბაღის გარემო ხდება უფრო მიმზიდველი. 61,93%-ის აზრით, უვითარდებათ უკეთესი სოციალური უნარები. მშობლებთან, განსაკუთრებით მამებთან, უფრო მეტ ემოციურ მიზიდულობას გამოყოფს შედეგებში - 40,32%. ბავშვის საჭიროებების უკეთ გათვალისწინებაზე ფოკუსირებს 37,41%.

მშობლების აქტიური ჩართულობა ამცირებს ბავშვის პრობლემურ ქცევებს - ეს 30.48%-ის აზრია. ბავშვებში გაუმჯობესებულ ხასიათზე და ქცევებზე ამახვილებს ყურადღებას 27,58%.

მშობლების სარგებელი და მათზე პოზიტიური გავლენა ის არის, რომ შესაძლებლობა ეძლევათ საბავშვო სააღმზრდელო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების თანამონაწილეები გახდნენ. კვლევის დროს მშობლები, თავის მხრივ, ხშირად აღნიშნავენ, რომ ჩართულობის შედეგად გახდნენ მეტად თავდაჯერებულები, აქტიურები, მეტი ინფორმაცია მიიღეს ბაღის მუშაობის შესახებ და, რაც მთავარია, უკეთესად გაიგეს საკუთარი შვილების ფსიქოემოციური საჭიროებები მათი განვითარების ამ მნიშვნელოვან ეტაპზე.

ოჯახსა და თემთან თანამშრომლობის საკითხში, მათი რესურსის სრულფასოვნად გამოყენება ბაღის პერსონალს ახალ შე-

საძლებლობებს უხსნის როგორც საკუთარი ორგანიზაციის განვითარების თვალსაზრისით, ისე თანამშრომელთა პროფესიული ზრდის კუთხით. ხდება პასუხისმგებლობის გაზიარება, ბავშვების საჭიროებების უკეთ განსაზღვრა; ამ თანამშრომლობას აქვს მნიშვნელობა ასევე სათემო სერვისების განვითარების და საჭიროების მქონე ბენეფიციარებზე უკეთ მორგების კუთხით.

## ნაწილი 5. გენდერულად სპეციფიკური გამოწვევების გამოვლენა

გენდერული ზეგავლენის გუნდმა გამოავლინა სპეციფიკური გამოწვევები, რომელიც რიგ შემთხვევებში პირდაპირ ეხება „სტანდარტს“, რიგ შემთხვევებში კი გამოწვეულია გენდერული სტერეოტიპების (მამის მეორეხარისხოვანი როლი აღზრდის პროცესში; ოჯახის უფროსი წევრების მიერ თავსმოხვეული აღზრდის მეთოდები ახალგაზრდა მშობლებისთვის და ა.შ.); ასევე, უკავშირდება სპეციალური საჭიროების მქონე აღსაზრდელებისთვის საჭირო სერვისების ნაკლები ხელმისაწვდომობის ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზებს.

**მამების ჩართულობის ბარიერები** - სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საკითხში აქტიური ჩართვის მსურველი მამები ხშირად აწყდებიან ბარიერებს, რომელიც მათ დიდწილად ზღუდავს და ხშირად მოტივაციასაც უკარგავს, რომ სრულფასოვნად იყვნენ ჩართულნი მთლიან პროცესში და არა ერთჯერადად, საჩვენებელ ღონისძიებებში.

არსებული ტენდენციით, სკოლამდელ დაწესებულებებთან თანამშრომლობის ვალდებულება მიეწერება რომელიმე ჯგუფს (მაგალითად, დედებს). საზოგადოებაში დამკვიდრებული ეს გენდერული ნორმა იწვევს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროცესში მამების რესურსის დაკარგვას და ნეგატიურად

აისახება აღსაზრდელებზე, რომელთაც აქვთ საჭიროება, ხედავ-დნენ მშობლებს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის აქტიურ მონაწილედ.

**შეზღუდული ფინანსური რესურსები** ხელს უშლის პროგ-რამის ირიბ სამიზნე ჯგუფს (პედაგოგები) სამუშაო პროცეს-ში, რადგან ზოგჯერ დაწესებულებებს არ გააჩნიათ სათანადო მატერიალური ბაზა, საკმარისი განმავითარებელი სათამაშოე-ბი სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის, შესაბამისი მეთოდოლოგიური დახმარება.

**კერძო ბაღები** (სადაც სერვისს აფინანსებს მშობელი) მუშაობენ კერძო ბიზნესის პრინციპით, ამდენად, ნაკლებად აქვთ შესაძ-ლებლობა, მოიწვიონ დარგის სპეციალისტები სპეციალური საჭი-როების მქონე ბავშვებისთვის. ამ კუთხით მათ არ აქვთ არანაირი ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან.

**დასაქმებული მშობლების მონაწილეობის წამახალისებელი ზომების ნაკლებობა:** სკოლამდელი დაწესებულებები ობიექტუ-რად უფრო მეტად თანამშრომლობენ იმ მშობლებთან, ვისაც მე-ტი თავისუფალი დრო აქვს. თუმცა არის მშობლების კატეგორია, ვისაც მეტი მონაწილეობის სურვილი გააჩნია და სიამოვნებით და-უთმობდა დროს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ჩართვას.

# თავი III. მიგნებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შეჯამება

## ნაწილი 6. მიგნებების შეჯამება

**ოჯახისა და თემის მონაწილეობის კომპონენტის გენდერული ზეგავლენის შეფასების (GIA) ძირითადი სარგებელი შესაძლოა შეჯამდეს შემდეგნაირად:** მოხდა სამიზნე ჯგუფის საჭიროებათა უკეთ გააზრება გენდერული თვალსაზრისით; სპეციფიკურ სამიზნე ჯგუფებზე „ოჯახისა და თემის მონაწილეობის“ - რეალური ზეგავლენის არსში უკეთ წვდომა და გააზრება; პროგრამის დაუგეგმავი/გაუთვალისწინებელი ზეგავლენის დროული გამოვლენა; დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, წარმოედგინათ საკუთარი საჭიროებები და გამოეთქვათ შეხედულებები პროგრამის გაუმჯობესებისთვის; გამოიკვეთა სტატისტიკა და გენდერულად ჩაშლილი მონაცემები, რაც გაზრდის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პოლიტიკის შემქმნელთა ინფორმირებულობის დონეს; მოხდა გენდერული სხვაობების უკეთ გააზრება/გაგების ხელშეწყობა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პოლიტიკის შემქმნელებსა და პროგრამის ბენეფიციარებში.

პროგრამას აქვს სასარგებლო ზეგავლენა მაგ., მიგრანტ მშობლებზე, როდესაც სკოლამდელი დაწესებულებები ცდილობენ ჩართონ ისინი სხვადასხვა ინიციატივაში, თუმცა ამას მეტ-ნაკლებად ფრაგმენტული ხასიათი აქვს და საჭიროებს უფრო სისტემურ მიდგომებს, რათა მოხდეს მათი მნიშვნელობის ხაზგასმა და სათანადო ხელშეწყობა.

„ოჯახისა და თემის მონაწილეობის“ კომპონენტი გარკვეულ წამახალისებელ და ხელშემწყობ ზომებს საჭიროებს დასაქმებული მშობლებისთვის, რათა მათ უფრო აქტიურად შეძლონ შეუთავსონ პროფესიულ საქმიანობას მშობლის ვალდე-

ბულებები და ჩაერთონ სკოლამდელი დაწესებულების საქმიანობაში.

პროგრამას გააჩნია ნეგატიური გავლენა სსმ/შშმ აღსაზრდელების დედებზე იმ კუთხით, რომ ნაკლებად არის ხაზგასმული მამებთან მუშაობის მნიშვნელობა. ნორმად მიიჩნევა მათ მიერ საკუთარი როლის იგნორირება ბავშვთან სპეციალური პროგრამებით მუშაობისას. ეს ნეგატიურად აისახება უშუალოდ პატარა ბენეფიციარებზე, რადგან არ ხდება მამების რესურსის გამოყენება. ასევე, ბავშვებთან მომუშავე პერსონალზე ნეგატიური გავლენის მინიმალიზება შესაძლებელია გენდერულად მგრძნობიარე ინდიკატორების დამატებით, რომელიც ხაზს გაუსვამს ბაღის უფლებამოსილებას, სავალდებულო გახადოს მამა მშობელთან თანამშრომლობა აღსაზრდელებთან, განსაკუთრებით - სპეციფიკური საჭიროების მქონე პატარებთან მუშაობისას. განსაზღვროს სხვადასხვა წამახალისებელი ზომა ოჯახის სხვა წევრების მონაწილეობისთვის. **ზოგადად, მნიშვნელოვანია სტანდარტის ინდიკატორებში მოხდეს ბენეფიციართა გენდერული თავისებურებების სპეციფიკის მეტი გათვალისწინება.**

## ნაწილი 7. გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით პროგრამის გაუმჯობესების რეკომენდაციები

**კომპონენტის გენდერული ზეგავლენის შეფასების შედეგად გამოვლენილი მიგნებების მიხედვით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის - კერძოდ, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ოჯახისა და თემის მონაწილეობის კომპონენტის პოზიტიური ზეგავლენის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქმედითი ნაბიჯი:**

| მიგნება | შეთავაზება/ალტერნატივა |
|---|---|
| სტანდარტი ნეიტრალურად პოზიტიურ გავლენას ახდენს ორივე მშობელზე, ოჯახის სხვა წევრებზე მათი მონაწილეობის კუთხით, თუმცა საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები აღზრდაში მამების მეორეხარისხოვან როლთან დაკავშირებით, აჩენს დამატებითი ინტერვენციების საჭიროებას | მნიშვნელოვანია, უფრო მეტად იყოს წახალისებული ორივე მშობლის თანაბარი ჩართულობა სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესებში, ხელი შეეწყოს ოჯახის სხვა წევრების ჩართვას ბაღის შიდა და გარე აქტივობებში. სტანდარტის ინდიკატორებში ინტეგრირდეს გენდერულად სენსიტიური ინდიკატორები, რომლებიც უზრუნველყოფს მამების მეტ მონაწილეობას |
| გაუმჯობესებას საჭიროებს სოციალური პარტნიორობის სისტემა სკოლამდელ დაწესებულებებს, სერვისის მიმწოდებლებს შორის. ამ საკითხთან კვეთაშია ე.წ. „უსაბუთო“, არაიდენტიფიცირებული ბავშვების პრობლემა | მნიშნელოვანია უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ადრეული განვითარების ცენტრებსა და ბაღებს შორის, აგრეთვე მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის სამსახურთან. სასურველია სერვისის მიმწოდებლებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების, ერთიანი გაიდლაინების და გაწერილი პროტოკოლების არსებობა, სადაც ყველა ურთიერთობა ოფიციალურად იქნება გაფორმებული, რათა მოხდეს საჭიროების მქონე ყველა ბავშვის დროული დიაგნოსტირება და შესაბამისი სერვისის მიწოდება |
| პირადი შეხვედრების და ინდივიდუალური მხარდაჭერის მნიშვნელობას მშობელთა უდიდესი უმრავლესობა აღიარებს. ინდივიდუალური შეხვედრებისთვის სათანადო სივრცის არარსებობა ნეგატიურად აისახება „ოჯახის და თემის მონაწილეობის“ კომპონენტის ეფექტიან განხორციელებაზე | მნიშვნელოვანია, რომ ბაღი მშობლებს სთავაზობდეს პირად შეხვედრებს პედაგოგებთან, სადაც ინდივიდუალურად განიხილავენ ბავშვის განვითარებას, პროგრესს და საჭიროებებს. ეს თანამშრომლობის პროცესს უფრო პერსონალიზებულს და შედეგიანს გახდის. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების პრაქტიკის დანერგვა და შეხვედრებისთვის სათანადო მულტიფუნქციური სივრცის უზრუნველყოფა |

| | |
|---|---|
| სერვისების მიმწოდებლების მხრიდან ძალიან მნიშვნელოვანია სტანდარტის განხორციელების შესაძლებლობების შექმნა. არსებული რეალობით დგას მშობელთა პედაგოგიზაციის, ასევე პედაგოგების სკოლამდელი აღზრდისა და განათლების თანამედროვე მეთოდებით შესაბამისი მატერიალური ბაზით აღჭურვის საჭიროება | მნიშვნელოვანია, ადგილობრივი თვითმმართველობის ადრეული განათლების პროგრამებში გამოინახოს რესურსები ბაღების უკეთესი მატერიალური აღჭურვისთვის, მშობელთა და პედაგოგთა ტრენინგებისთვის. სასურველია, სერვისების მიმწოდებლებმა მოიწვიონ და ჩართონ დარგის სპეციალისტები - საგანმანათლებლო კონსულტანტები და ფსიქოლოგები, ადრეული განვითარების ცენტრების წარმომადგენლები. მათ შეუძლიათ უზრუნველყონ ტრენინგები მშობლებისთვის და პედაგოგებისთვის ბავშვის აღზრდის, განათლების და განვითარებისთვის ახალი და თანამედროვე სტანდარტების დასანერგად. ტრენინგები მშობლებს უკეთესად მოამზადებს ბავშვებთან მუშაობისთვის, ხოლო პედაგოგებს დაეხმარება მუდმივ განვითარებაში, ახალი მეთოდების და მიდგომების ათვისებაში. ასევე მნიშვნელოვანია „მშობელთა სკოლები“, მათ შორის ბაღების გაერთიანების ბაზაზეც, სადაც მუდმივად ექნებათ მშობლებს სხვადასხვა სპეციალისტთან, ფსიქოლოგთან და ბავშვის განვითარების მიმართულებით მომუშავე პერსონალთან შეხვედრის შესაძლებლობა |
| ბაღებში იკვეთება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან, მათ მშობლებთან (განსაკუთრებით - მამებთან) მუშაობისთვის კადრების შეზღუდული რაოდენობა და არასაკმარისი კვალიფიკაცია | მნიშვნელოვანია, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების, სხვა დაინტერესებული მხარეების ფინანსური და მეთოდოლოგიური დახმარებით მოხდეს ფსიქოლოგის, სპეცპედაგოგის, ლოგოპედის, სოციალური მუშაკის რაოდენობის გაზრდა სკოლამდელ დაწესებულებებში. დაინერგოს კომპეტენციის ამაღლების ტრენინგების, გამოცდილების გაცვლის სისტემა |

| | |
|---|---|
| სკოლამდელ დაწესებულებებში ხშირია გადატვირთული ჯგუფები, რაც ნეგატიურად აისახება სკოლამდელი განათლების სერვისის ხარისხზე | მნიშვნელოვანია, შესაბამისმა სტრუქტურებმა მიიღონ საჭირო ზომები გადატვირთული ჯგუფების შესამცირებლად, მოხდეს ჯგუფში დასარეგისტრირებელ ბავშვთა რაოდენობრივი ლიმიტების შემცირება. ეს აღმზრდელ-პედაგოგს მისცემს შესაძლებლობას, მეტი დრო დაუთმოს ბავშვების ინდივიდუალური შესაძლებლობების, საჭიროებების გამოვლენასა და ბავშვის განვითარების ხელშეწყობას; მეტად ეფექტიანად ითანამშრომლოს მშობლებთან |
| მშობლების სხვადასხვა კატეგორია - დასაქმებული, ემიგრანტი მშობლები - ვერ ახერხებს სრულფასოვან მონაწილეობას სკოლამდელი დაწესებულების სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში | ჯგუფური შეხვედრების დაგეგმვისას, ასევე დაწესებულებების გარე აქტივობების დროს აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს დასაქმებული, მიგრანტი მშობლების მხრიდან ჩართულობის მოტივაცია და მოხდეს შეთანხმება ყველაზე ოპტიმალური/მისაღები დროის, ჩართულობის ფორმატის შერჩევაზე |
| სტანდარტის პრინციპების დაცვის არასავალდებულო პრაქტიკა კერძო ბაღებისთვის საფრთხეს უქმნის მათ მიერ მიწოდებული სერვისის ხარისხს | მნიშვნელოვანია კერძო ბაღებისთვის სამინისტროს/მუნიციპალიტეტების მხრიდან სტანდარტის გათვალისწინების საკითხებში მეთოდოლოგიური მხარდაჭერა. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ამ ტიპის დაწესებულებების სერვისის ხარისხს და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისობას |

| | |
|---|---|
| სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული საკონსულტაციო საბჭოს გენდერული დისბალანსი ნეგატიურად აისახება დაგეგმვის პროცესზე და არ ქმნის თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობას | მნიშვნელოვანია საბჭოების მუშაობაში მამების ჩართვის კიდევ უფრო მეტი წახალისება, მათი ხედვების გათვალისწინება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში. ეს ბევრად უფრო საინტერესოს, მრავალმხრივს, ინკლუზიურს გახდის სასწავლო და აღმზრდელობით პროცესს. მიმართული იქნება ურთიერთგაგების, ნდობის და თანამშრომლობის გაღრმავებისკენ, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ბავშვების უკეთეს აღზრდასა და განათლებას; გააღრმავებს სტანდარტის პოზიტიურ ზეგავლენას ბავშვებზე, მათ ოჯახებზე, თავად ბაღების პერსონალზე |
| სადღეისოდ არ არის საკმარისად გამართული სტანდარტის მონიტორინგის და შეფასების სისტემა, მისი გათვალისწინების ხარისხი და არასაკმარისია უკუკავშირი სკოლამდელი დაწესებულებების, მშობლების, სფეროს სპეციალისტების, თემის მხრიდან | ძალიან მნიშვნელოვანია სამინისტროს მიერ მოხდეს მონიტორინგის სისტემის შემუშავება, მუნიციპალიტეტების, დაინტერესებული მხარეების ჩართვა მისი დაგეგმვის და განხორციელების პროცესში. აუცილებელია სტანდარტის პერიოდული გაახლება და არსებულ რეალობასთან თანხვედრა, რაც სერვისის კიდევ უფრო მეტი გაუმჯობესების წინაპირობაა |

„სტანდარტით“ გათვალისწინებული „ოჯახისა და თემის მონაწილეობის“ კომპონენტის გენდერული ზეგავლენის შეფასებამ გვიჩვენა, რომ გენდერული თავისებურებები, სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარების საჭიროებები მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც გასათვალისწინებელია სკოლამდელი აღზრდისა და

განათლების სფეროს მარეგულირებელი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისას. ასეთ პროგრამებს აქვს დიდი პოტენციალი, გააუმჯობესოს სამიზნე ჯგუფისთვის გარემო პირობები და ხელი შეუწყოს საჭირო ინტერვენციების ინტეგრირებას. ეს მოგვცემს საუკეთესო შედეგს, თუ კარგად იქნება გააზრებული და გათვალისწინებული არსებული გენდერული სხვაობები, საჭიროებები და მათი მოგვარებისთვის გადაიდგმება შესაბამისი ნაბიჯები.

„სტანდარტს“ მთლიანობაში გააჩნია უზარმაზარი პოტენციალი იმისთვის, რომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სერვისი გახდეს ორიენტირებული ბავშვების საუკეთესო ინტერესებზე; შეიქმნას მათი აღზრდისა და განათლების საკითხებში სოციალური პარტნიორობის მწყობრი სისტემა. „სტანდარტის“ პრინციპებში გენდერულად სენსიტიური მიდგომების გათვალისწინებით სახელმწიფო შეძლებს ეფექტიანად უზრუნველყოს ბავშვებზე ორიენტირებული გარემოს შექმნა და სკოლამდელი განათლების სისტემაში ოჯახის და თემის მონაწილეობის ინსტიტუციონალიზაცია.

ქალთა ფონდი „სოხუმი“


რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა



საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6

ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2

womansukhumi@gmail.com

fundsukhumitbilisi@gmail.com

www.fsokhumi.ge

www.facebook.com/fsokhumi